# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 17 სექტემბერი 1998 №166 (701) ფასი 50 თეთრი



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბარსელონა. ამ შეხვედრის ექვსი გოლიდან ერთი დევიდ ბექემმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა

## შინ მაინც მოგვეგო

### კორაჩის თასი. შესარჩევი წრე

16 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე

**აზოტი (რუსთავი, საქართველო) 92:93 შახტიორი (დონეცკი, უკრაინა)**

**აზოტი:** ჟღენტი (17), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (25), ბერუაშვილი (4), ჯაფარიძე (36); წიკლაური, ჩაჩუა, ბაბიაშვილი (8), გოგოლაძე

**შახტიორი:** ზავალინი (25), ტკაჩი (13), კაპინოვი (19), ბოტიჩევი (14), გურტავოი (4); მალოშტანი, ვასილჩენკო (5), შლეევი (5), გერასიმოვი (4), იშჩუკი (4)

**მსაჯები:** დიმიტრიევი (ბელარუსი), გორშკოვი (რუსეთი)

იმედი, რუსთაველები უკრაინელების დაჩოქებას შეძლებენ და კორაჩის თასის ჯგუფურ ტურნირში ჩასაბმელად საქმეს თბილისშივე მოითავებენო, ვფიქრობ, გუშინვე დასამარდა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ მეტად საეჭვოა, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულები დავრჩეთ — გუშინ ხომ შინ დავმარცხდით საკმაოდ მობილიზებულ გუნდთან, რომელსაც აშკარად ეტყობა მთავარი მწვრთნელის ვალერი დროზდოვის მტკიცე ხელი. ...თუმცა, იმედი ბოლოს კვდებაო. შანსები, რა თქმა უნდა, კიდევ დაგვრჩა, თანაც არცთუ იოტისოდენა — „აზოტის" მთავარი მწვრთნელის ოთარ ხმელიძის სიტყვებს თუ დავენდობით. ერთი ქულით წაგება სულაც არ ნიშნავს, რომ მეტოქე შენზე გაცილებით ძლიერია. „შახტიორთან" ბრძოლა ნამდვილად შეიძლება და თავიანთი უნარის დამტკიცება რუსთაველებს 23-ში საპასუხო მატჩისას მართებთ.

...მოგება კი ნამდვილად შეგვეძლო და ძალიან ახლოსაც ვიყავით მასთან. ჩვენებს მხოლოდ 2 ქულა და 3 წამი დააკლდათ. შესაძლოა, საერთო ჯამში ამას არაფერი შეეცვალა, მაგრამ ერთი რომ, გავიმარჯვებდით, მეორეც — ფიბას თავს მოვაწონებდით და საქართველოს სახელზე რაღაც ქულებსაც შევიმატებდით რეიტინგში.

მატჩის დასაწყისი ქართველებს ცუდს არაფერს გვიქადდა. სასტარო ნერვიულობის შემდეგ, რაც ორივე მხრიდან ელემენტარულ შეცდომებში გამოიხატა, სიტუაციას ალღო პირველმა ჩვენებმა აუღეს. გამთამაშებლის პოზიციაზე მოთამაშე აჩიკო ჟღენტმა თამაში დაალაგა და თანაგუნდელების პასებით მომარაგება დაიწყო. მათი უმეტესი ნაწილი უკრაინელთა ფარზე დაგეშილ ჯაფარიძისკენ მიდიოდა, რომელიც ხმელიძეს მთავარ დამრტყმელ ძალად შეეგულებინა. შედეგად ის მივიღეთ, რომ ირაკლიზე ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდნენ და ორივე შემთხვევაში დამნაშავე მისი მეურვე გურტავოი იყო. ჯარიმები კი „აზოტის" ცენტრმა არცთუ ზუსტად ტყორცნა — თითო ჯერზე თითო ჩააგდო, რასაც გურტავოიმ ასევე ზუსტად უპასუხა 2:2.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური

16 სექტემბერი

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**პორტუ 2:2 ოლიმპიაკოსი**

1:0 ზაჰოვიჩი (64), 2:0 ჟარდელი (82), 2:1 ჯანაკოპულოსი (87), 2:2 გოგიჩი (90)

**კროაცია 0:0 აიაქსი**

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, მარიჩი, იურიჩი, პროსინეჩკი, ვიდუკა (მიკიჩი 67), მუიჩინი, რუკავინა (სარიჩი 57), სიმიჩი, ცვიტანოვიჩი, იელიჩიჩი

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ფ. დე ბური, ბაბანგიდა (ძინძლაძე 76), ვიჩხე, ლიტმანენი, დანი (რ. დე ბური 62), ოლისე, ბენი, პუქსტრა (გრონკიაერი 72)

### B ჯგუფი

**ატლეტიკო 1:1 რუსენბორგი**

1:0 ეჩებერია (5), 1:1 სტრანდი (66)

**იუვენტუსი 2:2 გალათასარაი**

1:0 ინძაგი (17), 1:1 შუქური (42), 1:2 უმითი (63), 2:2 ბირინდელი (68)

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო (ბლანშარი 68), ტაკინარდი, ტუდორი, ბირინდელი, დავიდსი, დეშამპი, დი ლივიო, დელ პიერო, ფონსეკა (რამპულა 32), ინძაგი (ზიდანი 62)

გალათასარაი: ტაფარელი, უმითი, ვედათი, პოპესკუ, უნსალი, ოქანი, ფილიპესკუ, თუგაი (არიფი 78), ჰასანი (ერგუნი 82), ჰაჯი, შუქური

გაძევება: პერუცი (32)

### C ჯგუფი

**რეალი 2:0 ინტერი**

1:0 იერო (79პ), 2:0 ზეედორფი (90)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, რედონდო, რაული, მიატოვიჩი, ზეედორფი, სავიო (კარემბუ 89), მორიენტესი (იარნი 86)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, ძანეტი, გალანტე, ფრეზი, ვინტერი, რონალდო (პირლო 72), სიმეონე, კოე, სამორანო, მილანეზე

გაძევება: ფრეზი (42)

**შტურმი 0:2 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (61), 0:2 ციმბალარი (64)

### D ჯგუფი

**ბრონდბიუ 2:1 ბაიერნი**

0:1 ბაბელი (75), 1:1 ჰანსენი (88), 2:1 რავნი (90)

ბრონდბიუ: მ. კროგი, ბიური, ნილსენი, რავნი, ჯ. იენსენი, დაუგაარდი (მ. იენსენი 72), სანდი (ჰანსენი 55), კოლდინგი, ბ. იენსენი, რასმუსენი, ლინდრუპი (ს. კროგი 84)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლისარასუ, ჰელმერი, შტრუნცი, (იერემისი 73), ელბერი, მათეუსი, ეფენბერგი, ბასლერი (ციკლერი 73), ფინკი, იანკერი (სალიჰამიჯიჩი 79)

**მანჩესტერი 3:3 ბარსელონა**

1:0 გიგზი (17), 2:0 სქოულზი (24), 2:1 სონი ანდერსონი (47), 2:2 ჯოვანი (60პ), 3:2 ბექემი (64), 3:3 ლუის ენრიკე (71პ)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, სტამი, ბერგი, ირვინი (ფ. ნევილი 79), ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი (ბლომკვისტი 84), იორკი, სოლსკიაერი (ბათი 55)

ბარსელონა: ჰესპი, აბილარდო, რაიციგერი, სერხი, ლუის ენრიკე, რივალდო, კოკუ, ჯოვანი (ხავი 68), ზენდენი, სონი ანდერსონი, ფიგუ

გაძევება: ბათი (72)

### E ჯგუფი

**ლანსი 1:1 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (51), 1:1 ვერელი (90)

ლანსი: ვარმუზი, სიკორა, დეუ, მერიდი (რული 76), ეჩი (სანკარე 82), დებევი, ნიარკო, დალმა, შმიცერი, ნუმა (მორეირა 70), ვერელი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამასი, კიოუნი, უინტერბერნი, პარლოუ, პეტი (ჰიუზი 73), ვიეირა, ოვერმარსი, ბერხკამპი, (გარდი 90), ანელკა

**პანათინაიკოსი 2:1 დინამო**

0:1 რებროვი (31), 1:1 მიუკლანდი (57), 2:1 ლიბეროპულოსი (69)

პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოიევიჩი, ასანოვიჩი, გუმასი, ვარჟიხა (სტრანდლი 86), მიუკლანდი, ვოკოლოსი (კოლა 68), კონსტანდინიდისი, ლიბეროპულოსი (ალექსოპულოსი 90), კიასოსი

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გერასიმენკო (კალიტვინცევი 76), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, შევჩენკო, რებროვი, გუსინი, ბელკევიჩი (კონოვალოვი 73)

### F ჯგუფი

**ეინდჰოვენი 2:1 ჰიკ**

0:1 კოტილა (31), 1:1 ოიერი (59), 2:1 ბრუგინკი (90)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუკიუსი, სავიერი, მარკოსი, ოიენი, ივანი (რომედალი 59), ნიკიფოროვი (ბრუგინკი 54), ოიერი, ხოხლოვი, კოლკა, დე ბილდე (კლაუდიო 90)

ჰიკ: კოივისტოინენი, ილოლა, ნიულუნდი, საასტამოინენი, ტიპინენი, ვასარა (იავაია 67), რიპილატი, ლეკოსუო, პირაკაია, კუქი (კანერვა 85), კოტილა (კოფტეფი 67)

**კაიზერსლაუტერნი 1:0 ბენფიკა**

1:0 ვაგნერი (41)

გაძევება: ელ ხალეი (89)

## უეფას თასი. 1/32 ფინალი

პირველი მატჩები. 15 სექტემბერი

**ანდერლეხტი (ბელგია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) 0:2**

0:1 კომიზეტი (52), 0:2 ტიკვა (86)

## ქართველები სამჭოთა ნაკრებში



## ვლადიმერ ბარქაია

სერიის მესამე წერილი ვლადიმერ ბარქაიაზე იხილეთ მეათე გვერდზე

3



ბაჩო ილარიონიშვილის ფოტო

„აზოტმა" „შახტიორთან" თავგამოდებით კი იბრძოლა, მაგრამ დონეცკში მაინც წაგებულს მოუწევს ჩასვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთია ჩვენი ოცნება! დინამო იყო ჩვენი იმედი?

ფეხბურთი გვენატრება, ნამდვილი ფეხბურთი, რომელიც ჯერ არ გვღირსებია. კი იყო წვრილ-წვრილი გამარჯვებები, მაგრამ ისინი ტიროლ-ბრაგა-ბოავიშტებს წაულეკავს.

გამოუსწორებელი ოპტიმიზმით დაავადებულა ქართველი გულშემატკივარი, ყოველი საევროპო ციებ-ცხელების წინ უსაფუძვლო იმედი შეგვიპყრობს, იქნებ წელს მაინც ჩამოვირეცხოთ ადრე ნაწვნევი სირცხვილიო. არ დაგვადგა საშველი. არ გვინდა, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. სინამდვილე, მწარე რეალობა მხოლოდ ერთზე ლაღადებს — ქართული ფეხბურთი კვდება, საფეხბურთო მეურნეობა მოშლილია, პატრონი არსაიდან ჩანს, მომავალში საიმედოც არაფერია. ჰორიზონტზე ქარიშხლის მოახლოება ილანდება, ოღონდ ფეხბურთისთვის სასიკეთო არაფერია. იქნება ბრძოლა, ხელჩართული და დაუნდობელი. შეწყნარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. კაცი რომ რაღაცისთვის იბრძვი, ეს თავისთავად კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ის ბრძოლა, რომელზეც მოგახსენეთ, მხოლოდ სკამისთვის იქნება, სკამისთვის და უზრუნველი ცხოვრებისთვის სულ მცირე ოთხი წლით.

რა უნდა ქნას გულშემატკივარმა, რომელსაც ნაღდი ბურთაობა მონატრებია? არაფერი. ქომაგებმა რეალობას უნდა უსწორონ თვალი.

ჩვენში საკლუბო ფეხბურთი, როგორც ვამბობთ-ხოლმე, ევროპულ დონეზე არასდროს დადგება. იქნება ის წვრილ-წვრილი გამარჯვებები ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან“ და რუსულ „ტორპედოსთან“. მერე გამოტყვრება ვინმე ტილბურგისნაირი, საშუალოზე დაბალი კლასის გუნდი და გულებს დაგვიხეთქავს. ღმერთო, სად არის სამართალი!

იმედად ისევ ნაკრები დაგვრჩენია, ნაკრები, რომელსაც ხანდახან შევამჩნევთ პოტენციას და მიმქრალი ნაპერწკალიც აგვენთება გულში, მაგრამ არც მას ჰყავს შეძლებული პატრონი და, აქედან გამომდინარე, მისი საბოლოო წარმატებაც ერთობ საეჭვოა.

დღეს, დღეს რა ვქნათ? „დინამო“ უნდა ვიტიროთ. საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა, ევროპას თავისი ნამდვილი სახე უჩვენა. ალბათ, ეს იყო ჩვენი მაქსიმუმი. ზედიზედ, მიყოლებით თბილისი და ბილბაო არც შეიძლებოდა განმეორებულიყო.

სწორედ „ატლეტიკია“ დამნაშავე იმაში, გულშემატკივარი და „დინამოც“ მიწიდან ზეცაში რომ აგვტყორცნა. ბილბაოელთა თამაშის ხელწერა საყოველთაოდ ცნობილია. თამაშობენ ლაღად, თამამად, მუდამ უტევენ. თავადაც აღმაფრენით ბურთაობენ და მაინცდამაინც არც მეტოქეს უშლიან ხელს. სწორედ ამიტომ გამოგვივიდა ბასკებთან ფრიადი ბურთაობა. ჩვენ ტრადიციულად „კარგად“ ვითამაშეთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში „ატლეტიკმა“ ამოყო თავი. მერამდენედ გვიმუხთლა მსაჯმაც და ფორტუნამაც. 90 წუთის მანძილზე ერთხელ მივუახლოვდით მეტოქის საჯარიმოს, ერთადერთხელ შევქმენით ხიფათისმაგვარი, მაგრამ ან მეკარეს გავარტყით, ანაც სტადიონის ტექნიკური პერსონალი ნახევარი საათი ეძებდა ღრუბლებში გატყორცნილ ბურთს. რა ვუთხრათ ასეთ ყოფას და უბედობას!

მსგავსი ეიფორიებით ვსულდგმულობთ და მთავარი გვავიწყდება. გაბრექილები დავდივართ, თავი ვარსკვლავები გვგონია, სინამდვილეში კი ფეხბურთის თამაში გვავიწყდება.

საკმარისია, „დინამოს“ ვინმე ხისტად შეეწინააღმდეგოს, მინდვრის შუაგულში მარწუხებს ოდნავ მოუჭირონ, რომ ჩვენი გუნდი განიარაღებულია, უსიტყვო კაპიტულაცია იმწამსვე გამოცხადებულია.

ვუსმენდით გუშინ რადიორეპორტაჟს, ვცდილობდით, წარმოგვედგინა, რა ხდებოდა „ვილემ II“-ზე, გვისკდებოდა გულებლი, ვიბოღმებოდით და სიმწრის ოფლი გვასხამდა. იდგა „დინამო“, ინდომებდა, იბრძოდა და უცბად სულ რაღაც ათ წუთში დასამარდა. გუნდი, რომელიც „ატლეტიკს“ ტოლ-სწორად ეპაექრა, ყოველ შემთხვევაში, ასე გვჯეროდა, უსახელო და უსახურ „ტილბურგთან“ განადგურდა. ვიძახოთ და მოვიგონოთ „ატლეტიკი“. სინამდვილეში ბასკებმა ჩვენთან ორთაბრძოლაში სწორედ იმდენი გაილეს, რამდენიც ჩემპიონთა ლიგაგში მოსახვედრად იყო საჭირო. ერთიცაა, ისეთი „ცუდები“, როგორებიც ჩვენ ვართ, იმ დიდ ლიგაში არავის სჭირდება.

იდგა დავით გვარამაძე, იგერიებდა ძნელად მოსაგერიებელ ბურთებს, რამდენჯერმე აუღებელიც უკუაგდო, ითამაშა თავგანწირვით, მაგრამ, ცხადია, დათო ჯადოქარი არ არის. ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, თავისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით. სანამ უნდა გაგიძლოს კაცს ნერვებმა, როცა თანაგუნდელთა საცოდაობას უყურებ. ისევ გვარამაძეს ვუთხრათ მადლობა, სულ მცირე, ხუთი ბურთის სხვაობით რომ არ დავმარცხდით.

იდგა დიდავა დაცვის ცენტრში, სხვებიც იყვნენ. გაძლეს 45 წუთი, ერთი საათი, საათნახევარი კი ვერა მშველელი რომ არ გამოჩნდა, მოწინააღმდეგეს დანებდნენ. დაცვაზეც იგივეს ვიტყვით, რაც მეკარეზე ვთქვით.

იდგა გიორგი კიკნაძე, მას უნდა ჩაეშალა მეტოქის შეტევა, მასვე წამოეწყო კონტრიერიში, მიეტანა ბურთი ტილბურგელთა საჯარიმომდე. კარგი იყო თავადვე გაეტანა, მაგრამ ერთი წამით დავფიქრდეთ, ძალიან ბევრს ხომ არ ვთხოვთ მაგ ბიჭს, იქნებ ცოტა სხვებისთვისაც დაგვეცაცხანებინა.

გაუბითურებია ივანე მახარეძე იმ ჩვენი ცოდვით სავსე აბდელაუვის. როცა მწვრთნელი შენს დამცველს გატანჯულს ხედავ, რომელსაც უკვე გაფრთხილებისთვის ხელი გამოუკრავს და მეტოქის შესაჩერებლად მხოლოდ სარმებს იყენებს, კი უნდა გამოცვალო. კაცნაკლულ თამაშს ხომ მაინც ჯობს.

ამ ბოლო დროს ჩვენც გადმოვიღეთ ბევრი ევროპული გუნდის სტილი. განაპირა მცველებმა თუ ნახევარმცველებმა მთელი ფლანგი უნდა აკონტროლონ. კაი გვარიანი ფუფუნებაა, ღმერთმანი, მაგრამ ფლანგის კონტროლს დიდი ფიზიკური ძალა და უნივერსალური მომზადება რომ უნდა, თუ იფიქრა ვინმემ. ფრთის კონტროლს მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში თუ შეძლებენ დინამოელები, იქ, სადაც ძუნძულით ბურთაობენ, მაგრამ ევროპაში?...

ნახევარდაცვას, რომელსაც არ ძალუძს მინდვრის შუაგულის კონტროლი, უკან დამცველთა დახმარება, წინ თავდასხმის პასებით მომარაგება, რა თქმა უნდა, რეკონსტრუქცია სჭირდება.

თავდამსხმელები ყველგან არიან, მთელ მინდორზე გადი-გამოდიან, მხოლოდ მეტოქის საჯარიმოში ვერ იპოვით ჩვენს ფორვარდებს. აშვეთიამ სადღაც მინდვრის შუაგულსა და მეტოქის საჯარიმოს შუაში უნდა მიიღოს ბურთი, დაუსხლტეს მთელ დაცვას და გავიდეს მეკარესთან პირსპირ. რა თქმა უნდა, დარტყმა გაუცუდდება — დამიზნებამდე ამდენ ენერგიას რომ ქარს გაატან, ვერ გაიტან, აბა, რა.

ხომერიკიც ასეთივე დღეშია. მოწინააღმდეგის მცველმა „ძღვენი“ უნდა მოგვართვას, რომ გავიტანოთ. ეროვნულ ჩემპიონატში დაჩაჩანაკებული გუნდების დაცვის გავლა ადვილია. ევროპაში არც ერთი გუნდი არ გაპარპაშებს.

წავიდა კობიაშვილი და შემცვლელი არ დაუტოვებია. დისკვალიფიცირებულები გვყავდნენ გუჩუა და მუჯირი, არც ამათ უთქვამთ, ჩვენს ნაცვლად ამათ ითამაშონო. საკვირველია, რატომ არ იფიქრეს ყოველივეზე მწვრთნელებმა. ნუთუ ყველაფერს თავიდანვე იყვნენ შეგუებულები.

რამდენი მოვთქვათ, რამდენი ვიტიროთ, მაინც აზრი ეკარგება ყველაფერს. ყველას ჩვენ უნდა წავუხაროთ თავი, ყველას ვეთანხმებით, თუმც ისიც კარგად ვიცით, რომ ის თანხმობა დაგვღუპავს.

სამ დღეში მხოლოდ ერთ საათს რომ ივარჯიშებ, ფეხბურთელები რიტმიდან ამოვარდენიან, აბა, რა იქნება. მკაცრად მოგვეთხოვა ტილბურგელებისთვის, მაგრამ, ეტყობა, ჩვენც ვტყუოდით რაღაცაში. სტუმარს უფლება აქვს, თამაშის წინა დღეს მასპინძელთა მთავარი სარბიელი დააჭაშნიკოს. ამაში ხელს ვერავინ შეგიშლის, უარს ვერავინ შეგკადრებს. სხვა დროს თავს თვითონ უნდა მიხედო. ვერ მივხედეთ, უვარჯიშებლები დავრჩით.

ბოლოს რა შეგვრჩა ხელთ, რა და „ტილბურგმა“ ზეციდან მიწაზე დაგვაბრუნა. რას ველოდოთ საპასუხო მატჩში? არაფერს განსაკუთრებულს, „დინამო“ მეტოქეს დაამარცხებს, ღმერთმა ქნას, სამბურთიანი უპირატესობა ამოქაჩოს, რაც პირადად მე არარეალური მეჩვენება, მაგრამ შემდეგ წრეში ალბათ ჰოლანდიელები გავლენ, რადგან ჩვენი შანსი ხელიდან გუშინწინ საღამოს გავუშვით.

**მამუკა ქვანტალიანი**




WILLEM II ტილბურგიდან

# თუ ფეხბურთი შეარვყოთ?

ეპილოგი

მორიგი ქართული საფეხბურთო სირცხვილი. — ერთხელაც დაგვწიხლეს და გადაგვიარეს, ერთხელაც მიგვიჩინეს ადგილი საფეხბურთო სამყაროს მიღმა. მამაზეციერი ვერ იწანასწარმეტყველებს, აწი მოიგებენ თუ არა ჩვენი მარადი ჩემპიონები. გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, „ტილბურგი“ არ არის ის გუნდი, ვისაც ვერ მოუგებ (თუნდაც 0:3-იანი პასივი გქონდეს), მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს საპასუხო შეხვედრა — ახლა მოგება-წაგებას ერთი ფასი აქვს. არ გცოდნია ფეხბურთი და ესაა (დაგვიწყნია, გადავგვარებულვართ), როგორც გვინდა და როდესაც გვინდა, ვცვალოთ მწვრთნელები, ვეძებოთ დამნაშავეები, ვაბრალოთ ჩვენი უსუსურობა ხან წვიმას, ხან ტლაპოს, სიცივეს, სიცხეს, გადაღლილობას, ათას ჯანდაბას და დოზანას. ახალს ვიტყვით ვითომ რამეს? ან ახალს გვეტყვის ვინმე რამეს? ასეთი რამ ხომ აქამდეც უთვალავჯერ მოგვისმენია. ჰოდა, მოვეშვათ ახლა ზედმეტ გარჩევებს და კომენტარებს — რაც მეტს აგვიხსნიან, რაც მეტ მიზეზს ჩამოგვიყვებიან — სისულელეც მეტი იქნება მათ ნაუბარში და ნერვებსაც მეტად ავიშლით ყველანი.

თავიც ესაა და ბოლოც, ესაა დასაწყისიც და დასასრულიც.

წუნიები და წუწუნები
ანუ შუშანიკას ტუფლი უჭერს...

საქმის ორგანიზაციას გვიწუნებენ ქართულ ფეხბურთში მოღვაწე (ცოტა ხმამაღალი სიტყვა ხომ არ დაგვცდა?) მწვრთნელები და ფეხბურთელები. წუწუნებენ — ვერ დგახართ ჩვენს სიმაღლეზე, ვერ გვიწყობთ ხელს სათანადოდ, თორემ რის კაპელო, რა ლიპი, ვინ ზიდანი, რა ოუენი — შეგვიქმენთო პირობები და ზოგი მერეც შემოგვხედეთო...

ეჰ! ჩვენო წუნიებო და წუწუნებო, ქერის ორმოშიც რომ ჩაგსვათ, მაინც არ იქნება თქვენი საშველი, ისევე როგორც ქართული ფეხბურთის საშველი არ იქნება თქვენს ხელში. განა მართლა ბევრს ნიშნავს ფეხბურთელი სპაგეტის შეჭამს თუ ხაჭაპურს? ბოლოს და ბოლოს ფეხბურთს მობურთალი თამაშობს თუ სპაგეტი ან ხაჭაპური? სპაგეტის თუ ვერ აგემოვნებდნენ მესხი და პაიჭაძე, მიტომაც ვერ აგორებდნენ ბურთს. ვიცით, გვეტყვიან, წავიდაო ის დრო — მესხის და პაიჭაძის დრო წავიდაო. ჩვენთვისაც ცნობილია, რომ წავიდა და თავშისაცემ-სავაგლახოდაც ეს გაგვხდომია. წასულს კი ვეღარ მოაბრუნებს კაცი, მაგრამ ღმერთის მადლობა, რომ წარსული მაინც გაგვაჩნია, თორემ მესხი და პაიჭაძე რომ არ გვყოლოდა (სხვებიც, რა თქმა უნდა), ქართული ფეხბურთი, როგორც ასეთი, არ იარსებებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წუნიები და წუწუნები ვერაფერს შექმნიდნენ ფასეულს. სიტყვამ მოიტანა და ზუსტად მესხის, პაიჭაძის, ცოტა გვიანდელი „ოქროს“ თაობის ფეხბურთელთაგან გამიგონია — თამაშს რომ წავაგებდით, ქუჩაში გამოსვლა გვრცხვენოდაო. თქვენ რა ძარღვი გაქვთ ასეთი — გაგონილა, ამდენის და ასე წაგება? ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობაც კაი საქონელია. ჩვენც მოგვბეზრდა, განა არა, ამდენი ბოღმის და დარდის ფურცელზე გადატანა, ამადაცაა, ოდნავი იმედი იჭიატებს თუ არა, ათჯერ და ასჯერ რომ გავაბუქებთ ხოლმე სასიხარულოს — არიქა, გაგვიბრწყინდა საქართველო, გაილვიძა ქართულმა ფეხბურთმაო — ამის მერე კი... ძველებურად დაგვაპანღურებენ ევროსარბიელიდან და ცხვირში ძმრად ამოგვადენენ იმ სიხარულს.

ჰოდა, მთელი საქართველოს სახელით გთხოვთ, გეხვეწებით, გემუდარებით — ითამაშეთ ფეხბურთი... თუ შეგიძლიათ.

ოსტაპი და შვიდ(ას)ი ჯუჯა

იკითხავთ, მატყუარა ბენდერი, ანაც ლილიპუტები რამ გაგასხენათ, ან სად ერთი — სად მეორეო. ოსტაპი ახალგაზრდული ნაკრების იტალიელი კონსულტანტის საქართველოში მოღვაწეობამ გაგვახსენა — უფრო სწორად, ლანდი — ნაკრების დამოკიდებულება. ერთმა სარბიელელმა მოსწრებულად შეადარა ბენდერის ვასიუკში საჭადრაკო მოღვაწეობას — ჩამოვიდა ეს კაცი (ოსტაპისა არ იყოს), შეყარა ქვეყანა (როგორც ოსტაპმა), „გაუზიარა გამოცდილება“ ქართველ მწვრთნელებს და კონსულტანციების „ერთდროული სეანსებიც“ მრავლად ატარა (ოსტაპი ჭადრაკში მოძღვრავდა ვასიუკელებს). შედეგი? ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან 0:1 მარცხი.

შეიძლება ლანდიმ ცუდად დაიწყო და იგი გაცილებით ძლიერი მწვრთნელია, ვიდრე ჩვენ გვგონია, საქართველოში და ქართულ ფეხბურთში საკმაოდ მოიძებნება ისეთი ხალხი, რომელთაც მართლა სჯერათ „იტალიანოსი“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში (და საერთოდ ყველანაირ შემთხვევაში) საჭე ლანდის და მხოლოდ ლანდის უნდა მივანდოთ. ორი იგავიც გაგვახსენდება. ლობანოვსკი-ბესკოვ-ახალკაცის ტრიუმვირატის ვერ მოაბა თავი საქმეს ნორმალურად და ლანდი და კაპანი დაგვადგამენ ვითომ თავს? (ისე, ჩვენები იმგვარად აქებენ თავიანთ კოლეგას და კონსულტანტს, იტალიას მართლა კარგად ჰქონია საქმე, თუ ასეთ ხალხს ვერ იყენებს) ჯუჯებად კი ის კაცები მიგვაჩნია, ვისაც მართლა სჯერა, რომ უცხოეთიდან ორიოდ კვირით ჩამოსული, ნაკლებად ცნობილი კოლეგის ერთი-ორი კონსულტაცია აამაღლებს. არიქა, ეს ვინ გაგვიჩნდა პატრონად — ერთს მილუტინოვიჩთან უმუშავია, მეორე კი „ინტერის“ ფიზმასწავლებელიაო... თუ ასეა, თვითონ მილუტინოვიჩი ჩამოვიყვანოთ ორიოდ კვირით...

თუ საქმე იმ ფულში უფროა, ჩვენი ბიჭების შეკრებებზე რომ ხარჯავს ლანდი...

ფული კი ისეთი ეშმაკის მანქანაა, მთელ ქართულ ფეხბურთს იყიდი კაცი. მით უმეტეს, გვიყვარს ფული ქართველებს, ფეხბურთზე მეტადაც (და ვგონებ, ოსტაპზე მეტადაც).

მეზობელო, კარისაო

ამ ქვეთავს საფუძველი ვიტალი დარასელია-უმცროსთან კარგა ხნის წინანდელმა საუბარმა მისცა. ის, რაც ამჟამად უკრაინულ ფეხბურთში ხდება, სულ მთლიანად ლობანოვსკის დამსახურებაა, ყველა და ყველაფერი მის მიერ შემუშავებულ საფეხბურთო პროგრამას ემორჩილება და ეთანხმება, ნებისმიერი გუნდის თანამთავარ მწვრთნელად და კონსულტანტადაც ვალერი ვასილის ძე ითვლებაო — ასე თქვა პატარა ვიტალიმ. ახლა მის გვერდით მდგომებს არ იკითხავთ? — ბურიაკი, ბესონოვი, მიხაილიჩენკო, დემიანენკო, ბესონოვი, იაკოვენკო, სხვებიც... გეცნოთ არა ეს გვარები?! დიახ, ამ ხალხმა ფეხბურთიც დარბაისლური ითამაშა და კარიერის შემდეგაც დარბაისლურად უძღვებიან თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას. შედეგი? — უკვე კარგა ხანია, კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში აგორებს ბურთს, სახელსაც იხვეჭს, ფულსაც და ბარე ორი მისი ფეხბურთელის შეძენაც ენატრება ბარე ორ გრანდკლუბს.

და იცით, რატომ ხდება ეს უკრაინაში? იმიტომ, რომ საქმეს ერთი კაცის თავი უძღვება და სხვებსაც ერთი პირი და ერთი აზრი გააჩნიათ. სახელმწიფოც წიგნიერ პოლიტიკას ეწევა ფეხბურთის მიმართ — უკრაინელებმა შეძლეს და იმ დონეზე დააყენეს საქმე, რომ შევჩენკო 30 მილიონად არ მიჰყიდეს „მილანს“. ასეთი ძვირფასი ფეხბურთელის (შევჩენკოსიც და სხვისაც) შენახვას კი ფული უნდა და დიდი ფულიც... არ დაინანეს ჩვენმა ზღვისპირელმა მეზობლებმა „ხელის ჭუჭყი“ და აჰა... ხომ ყველასთვის ცნობილია, რას ნიშნავს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თამაში.

გვინდა, არ გვინდა, რახან თვითონ ვერ ვაბამთ საქმეს თავს, სხვებისგან უნდა ვისწავლოთ. აგერ მეათე სეზონი და მეცხრე წელია, ჩვენი ფეხბურთი საკუთარ გზას მიჰყვება, მაგრამ როგორღაც აბნეულად და აცა-ბაცად. ქვეყანა წლითი წლობით ფეხბურთელებისგან იცლება, ფეხბურთის დონე ეცემა და ქართული ფეხბურთის საქმეც უკან-უკან მიდის.

ამას წინათ თქვეს ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამა შევიმუშავეთო, ესაო, ისაო, ახლა ყველაფერი მთავრობის და პრეზიდენტის დონეზე გადაწყდებაო, ფეხბურთში მოღვაწე პიროვნებებს გადასახადები მოეხსნებათო და სხვა ამდაგვარი და ამის მსგავსი.

სიტყვას არ გაცილებია „ქართული ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამა“ (უკეთეს შემთხვევაში ფურცელზე ნაწერს). ძველებურად ვლაფავთ სულს, ძველებურად „ვქაჩავთ“ უცხოეთში ჩვენს ფეხბურთელებს ჩვენდავე სავალალოდ მეტად დაბალი დონისა და მცირე ყალიბის გუნდებში.

ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. შეუძლებელია, ამგვარადვე გაგრძელდეს. დროზე, დროზე უნდა მოევლოს სატკივარს. სხვანაირად მოკვდება ქართული ფეხბურთი, აღარ იარსებებს და იმას, რაც არ იარსებებს, ვერც ვერავინ უშველის.

და ბოლოს...

მართალია, ერთი კონკრეტული თამაშით ბევრს ვერაფერს დაასკვნი კაცი, მაგრამ აქ მარტო „ტილბურგ“ — „დინამოთი“ არ ვიფარგლებით. წლევანდელი, შარშანდელი და შარშანწინდელი წყენანიც გვახსენდება... და იმდენი, სასიხარულოს რომ ჰფარავს.

ეს კი ტრაგედიაა. ტრაგედიაა, როცა „ტიროლი“, „ბოტევი“, „ბოავიშტა“, „ბრაგა“, „ბაიერი“, „ვლაჟნია“, „პარტიზანი“, „ცრვენა ზვეზდა“, „ტილბურგი“ წაეწყობა ერთმანეთს.

სატირალია, როცა „ღირსეული წაგებებითაც“ ვიოხებთ გულს.

სავალალოა, რომ ჯერაც ვერ გამოვფხიზლდით, ჯერაც უკუნეთში ვართ და არც ის ვიცით, როდის გაგვითენდება.

„დამარხულ არს“ ქართული ფეხბურთი და არც არავინ იცის, როდის „მოვა“ მეორედ. დროა, სერიოზულად მოჰკიდოს ყველამ ხელი თავის საკეთებელს და პასუხიც სერიოზულად აგოს ყველამ.

ან ფეხბურთი უარვყოთ!

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# აი, ვინ უსტვენს!

არც მიმდინარე ჩემპიონატის მეექვსე ტური ყოფილა გამონაკლისი. დაბალ კვალიფიკაციას დავაბრალოთ, ზემდგომთა დირექტივებს, მაყურებელთა ზეწოლას თუ სხვა რამ მიზეზს, ფაქტი ერთია — ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა ბევრის აღშფოთებას იწვევს.

ღმერთმანი, რა ხდება? ბურთაობის დონე არ კმარა, ამას ცუდი მსაჯობა და მათ მიერ გაფუჭებული თამაშები რომ დავამატოთ?

ამას რომ ვწერთ, თან კრიტიკის ობიექტთა გულისწყრომასაც ვითვალისწინებთ. ალბათ, იტყვიან, თქვენ ფეხბურთისა, მით უფრო მსაჯობისა რა იცით, ჩვენს საქმეში ნუ ერევით, რა თქვენი საქმეა, მსაჯი პენალტს დანიშნავს, ოფსაიდს დააფიქსირებს, თუ წითელი ბარათის ნაცვლად ფეხბურთელს ყვითელს აუფრიალებს. ჩვენი პრინციპი მარტივია, მსაჯები ყოველთვის მართლები ვართ და როგორც საჭიროდ მიგვაჩნია, ისე ვუსტვენთო — ასეთი არაერთხელ უთქვამთ ჩემპიონატის მომსახურე არბიტრებს და სავსებით მოსალოდნელია ამ ტექსტის ჩაკითხვისთანავე იგივე გაიმეორონ. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსაზე ვართ და ვამბობთ — მატჩები ძალიან ცუდად ისჯება. ამაში დამნაშავე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, ნორმალური კადრები რომ ვერ შეურჩევია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა და მუდამ თავის გამართლებას ცდილობს, ამათ შეეშვით, თუ დასასჯელები იქნებიან, საკადრისს ჩვენვე მივუზღავთო, მაგრამ... ეს იმის ახლობელია, ერთი მეორეს პროტეჟეა, ზოგს ერთმანეთის ძველი პატივისცემა ახსოვს, ხათრი აქვს, მასპინძელს არ ვაწყენინო, თორემ რესტორანში აღარ დამპატიჟებენო და იქმნება ჯაჭვი, რომლის გაწყვეტაც ათასში ერთხელ ხერხდება, ისიც მაშინ, როცა აკინძულ რგოლებს შორის სიმჭიდროვე ირღვევა, როცა შუაში სხვა ლითონს ჩააკვეხებენ-ხოლმე.

არადა, უეფა ბარე ათამდე ქართველ მსაჯს ანდობს საერთაშორისო მატჩების მომსახურებას და როგორც ჩვენთვის ცნობილია, ისინი თავიანთ საქმეს ნორმალურად აკეთებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უეფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არაა, ვინმეს ხელი დააფაროს, დაუსჯელი დატოვოს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იმიჯი აქვს შექმნილი. მაშ, რა გამოდის? დავიჯეროთ, უცხოურ გუნდთა ბურთაობა ჩვენებურთაზე რთული სამსაჯოა? არა, ბატონო, ძალლის თავი სხვაგანაა დამარხული. აქედან გამომდინარე კი უმეტეს ქართველ არბიტრთა კვალიფიკაციაში დაეჭვება არ ეგების. გამოდის რომ...

ახლა ერთი ციტატი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრის და პარლამენტარ ლაშა მინდელის ამასწინდელი ნათქვამიდან: „ფედერაციის 80 პროცენტი ფულს აკეთებს. ყრილობამდე ცდილობენ, როგორმე მეტი მოიხვეჭონ, ვაითუ, ხელმძღვანელობა შეიცვალოს და უმუშევრად დავრჩეთო. განსაკუთრებით კი მსაჯთა კორპუსი აქტიურობს და, როგორც ჩანს, კიდეც შოულობს ფულს" — ლაშა მინდელმა თავისი თქვა, რუსთავის „გორდას" თამაშების შემხედვარემ. ხოლო „ბათუმის" პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გორში მოგებული მატჩის შემდეგ სინანულით განაცხადა — კიდევ კარგი, სამართალმა პური ჭამა და გავიტანეთ, თორემ იმ აშკარა გოლის მიუხედავად („ბათუმმა" ადრეც გაიტანა) შეხვედრას ფრედ დაგვამთავრებინებდნენ, აქაოდა, სტუმრებიც კმაყოფილნი დაგვრჩებიან და მასპინძლებიცო. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც „სარბიელში" უწინ დაბეჭდილა. არქივში ქექვა რა საჭიროა, როცა გუშინწინდელი გაზეთის მეორე-მესამე გვერდებზეც ფაქტობრივად იგივე წერია და რამაც „სარბიელის" ერთ-ერთ აღშფოთებულ მკითხველს გუშინწინვე დაარეკინა რედაქციაში, რა ხდება, ბოლო-ბოლო ეს როდემდე უნდა გაგრძელდეს, ამიხსენით, მსაჯები ასე რად აფუჭებენ მატჩებსო — გვკითხა ამ კაცმა საკმაოდ ხმამაღლად. აბა, ამ და სხვა ათასობით მკითხველს პასუხი ჩვენ როგორ გავცეთ. რაც ხდება, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, იმას ვწერთ, ხოლო ასე როდემდე გაგრძელდება, მხოლოდ მსაჯთა კორპუსმა და ფედერაციამ უწყის. ჯობს, ასეთი კითხვით მათ მიმართოთ. რაც მეექვსე ტურის მატჩების შემხედვარე ჩვენმა კორესპონდენტებმა იფიქრეს კი, აგერ:

„მერანი" — თსუ 1:0 —აი, ესენი უსტვენენ „მატჩის შემდგომ სტუმართა ხელმძღვანელობა მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავდა და მარცხშიც მათ ადანაშაულებდა."

„არსენალი" — „ლოკომოტივი" 0:0 — „88-ე წუთზე კი „ისანზე" მსაჯობის ქართული ვარიანტი გათამაშდა — მეტოქის ნახევარზე ტარიელაშვილი დაუსხლტა თარხნიშვილს, რომელმაც მეკარესთან პირისპირ მიმავალს ხელი გამოსდო. ასეთ შემთხვევაში იცით, რასაც აკეთებენ არბიტრები, ჩვენგან არ გესწავლებათ, მაგრამ რად გინდა... შილაკაძემ შეხვედრის მშვიდობიანი დასასრული იგრძნო და საქმეს რატომ გაირთულებდა?"

„სამგურალი" — „ოდიში" 1:0 — „ფაიქიძე ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მეკარესთან ორთაბრძოლისას წაიქცა. მსაჯმა ნაყოფია გაამართლა. სულ მალე იგივე ფაიქიძე შეიჭრა საჯარიმოში, მას მცველი შეებრძოლა და... წყალტუბოელი ისევ დაეცა. მსაჯმა ამჯერადაც ვერ შენიშნა დარღვევა, აღშფოთებულ ფაიქიძეს კი უმალ ყვითელი ბარათი უსახსოვრა."

„გურია" — „ვიტ ჯორჯია" 2:0 — „პეტრიაშვილის საჯარიმოში წაქცევისათვის, კახიანი პენალტის ნიშნულისაკენ კი წაიწია, მაგრამ თავისი კოლეგის მიერ აღმართული ალამი რომ დაინახა, გადაწყვეტილებაც უმალ შეცვალა. თამაშგარე კი აშკარად გამოგონილი მეჩვენა."

„დილა" — „ბათუმი" 0:1 — „რუსია ერთხელაც გაექცა მეტოქე მცველებს, მაგრამ ხაჭაპურიძემ მაისურზე მოქაჩა და ისე შეაჩერა. კვარაცხელიამ ჯარიმა კი დანიშნა, მაგრამ გაფრთხილებით არ გაუფრთხილებია „დილას" კაპიტანი.

...ბათუმელებმა უპირატესობა სამი გოლით გამოხატეს. ამათგან პირველი აშკარა თამაშგარე იყო, მეორე „გამოგონილი", მესამე კი..."

ეს ციტატები გუშინწინდელი „სარბიელიდანაა" ამოკრეფილი. მეექვსე ტურში შვიდი მატჩი ჩატარდა, აქედან ხუთს მსაჯებმა თავიანთი დაღი დაასვეს. ხუთმა ჟურნალისტმა თქვა, მსაჯები შეცდნენო. ისინი კი იტყვიან, შეცდომა ყველას მოსდის, ჩვენც ადამიანები ვართო. კი მაგრამ, სულ შეცდომა? აღდგომა და ხვალეო. მომავალ ტურშიც, მის იქითაც, ალბათ იგივე განმეორდება, კვლავ შეცდომები იქნება. ყოველ თამაშში არასწორად სტვენას კი ჯობს, ქუჩურად, უმსაჯო თამაშებს ვუცქიროთ.

ჩვენ მადლობელი ვართ იმ მკითხველის, რომელმაც შემოგვჩივლა, გამიგია, შვიდიდან ხუთი მატჩი მსაჯს გაეფუჭებინოსო. თურმე გაგონილა, ნულარ გაგიკვირდებათ.

**კობა ინასარიძე**



# გასარჩევის, გადასაწყვეტის

დღეს იამანიძის №5-ში აღმასკომის რიგგარეშე სხდომა გაიმართება, თუმცა ფედერაციაში მას საგანგებო კომიტეტის სტატუსს ანიჭებენ. ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, მთავარია, დღის წესრიგის საკითხების გადაწყვეტა, გადასაწყვეტი კი მართლაც ბევრია. „დინამო" — „მრეტების" მოუგვარებელი საკითხი, იმედია, 21-ე საუკუნეში არ გადავა, თუმც ფედერაციას რომ გარკვეული არჩევანის გაკეთება მოუწევს, ისიც ნათელია. ფიფა ახლა ქინქლაძის „აიაქსში" ტრანსფერის დეტალების დადგენას მოითხოვს, ამ ორგანიზაციას გვერდი არასგზით აევლება და აღმასკომსაც გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს, რათა ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას სრულყოფილი პასუხი გასცეს.

საგანგებო კომიტეტის სხდომაზე (იგივე აღმასკომზე), კარს მომდგარ ყრილობაზეც იმსჯელებენ. როგორც ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა გვითხრა, ყურადღება ყრილობის იურიდიულ წევრთა რეგისტრაციაზე იქნება გამახვილებული და ახალი წესდების პროექტიც განიხილება. წესით და რიგით ეს საკითხები აქამდეც უნდა გადაწყვეტილიყო. წინა აღმასკომზე ყრილობის გადავადების ერთ-ერთი მოტივი ხომ ის გახდა, რომ დელეგატთა რეგისტრაციას თავი ვერ მოება — დელეგატებს ძვირი უჯდებოდათ. ამასთან დაკავშირებით რა კომპრომისს მიაღწია ფედერაციამ იუსტიციის სამინისტროსთან, ამასაც აღმასკომი გვიჩვენებს (შეიძლება ვერც გვიჩვენოს).

ჩინოსნისვე თქმით, აღმასკომზე დებულებაც გადაისინჯება და ცვლილებაც მოხდება ფეხბურთელების სასიკეთოდ (ძალიან კარგია, თუ ფედერაციამ ფეხბურთელებისთვისაც მოიცალა).

სხდომა რომ მშვიდ ვითარებაში არ ჩაივლის, ამის ვარაუდი ამთავითვე შეიძლება. ფედერაციის მოხელენი ერთობ აღუშფოთებია (რბილად რომ ვთქვათ) აღმასკომის წევრის — ლაშა მინდელის ცილისმწამებლურ (მათი თქმით) განცხადებას. მინდელმა ხომ ბრძანა, ფედერაციას ანტირუსთაველი კომპანია აქვს გაჩაღებული, იამანიძის №5-ში ოთხმოცი პროცენტი ფულის კეთებაზეა გადასული, ეშინიათ, რომ მალე უმუშევრები დარჩებიანო. მოკლედ, ასეა. აღმასკომზე (იგივე საგანგებო კომიტეტის სხდომაზე) შეიძლება დაუგეგმავი (იქნებ დაგეგმილი) საკითხებიც გაირჩეს. ვნახოთ.

**პაატა ძვანტალიანი**

4 ტური

## მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

12 სექტემბერი

**ოკეანე 2:1 რაჭა**

0:1 ჩიტალაძე (13), 1:1 კაცაძე (80პ), 2:1 გოგავა (88)
გაფრთხილება: ჭელიძე (რაჭა)
მსაჯი: ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**რიონი 0:2 ტორპედო 2**

0:1 ფუტკარაძე (9), 0:2 ბობოხიძე (24)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ჩიხურა 0:3 გაგრა**

0:1, 0:2 ცხილაძე (23, 63), 0:3 მანაგაძე (77)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მარგვეთი 2:0 მეშახტე**

1:0, 2:0 ქურციკიძე (58, 76)
გაფრთხილება: მუმლაძე, ლონლაძე (ორივე მარგვეთი), კალანდაძე, ლომთაძე (ორივე მეშახტე)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**საირმე 2:1 იბერია 2**

1:0 ცერცვაძე (11), 2:0 ჭუმბაძე (58), 2:1 უცნობია
გაფრთხილება: ლომსიანიძე, ეხვაია, ვაშაკიძე (ყველა საირმე), ცომაია, მჭედლიშვილი (ორივე იბერია 2)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

13 სექტემბერი

**სამგურალი 2 1:3 სულორი**

0:1 ბუხაიძე (3), 0:2 მიქელთაძე (7), 0:3 კორძაძე (12), 1:3 შვანგირაძე (27პ)
გაფრთხილება: ბელთაძე (სულორი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**მაღაროელი 3:0 იმერეთი**

„იმერეთი" არ გამოცხადდა
*მეორედ გამოუცხადებლობის გამო „იმერეთი" მოხსნილია გათამაშებიდან*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 4. | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| გაგრა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| მარგვეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 10 |
| ტორპედო 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| საირმე | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| ოკეანე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| მაღაროელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| სამგურალი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| მეშახტე | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| რაჭა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | 3 |
| იმერეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |
| იბერია 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:12 | 0 |

### დასავლეთი, „ბ" ქვეჯგუფი

12 სექტემბერი

**კოლხეთი 2:0 სქური**

1:0 გვაზავა (45), 2:0 კ. ხურცილავა (80)
გაფრთხილება: ჩალიგავა, ჯოლოხავა (სქური)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**სალხინო 3:1 შუქურა**

0:1 ჭიჭავაძე (10), 1:1 ხაბეიშვილი (60), 2:1 წოწონავა (75), 3:1 მაგანია (79)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**ოდიში 2 0:0 ეგრისი**

13 სექტემბერი

**კოლეჯი 2:0 სამეგრელო**

1:0, 2:0 დარჩიძე (88, 90)
კობიძემ (კოლეჯი) ვერ გაიტანა პენალტი (50)
გაფრთხილება: თედორაძე (კოლეჯი), ჯალაღონია, სიჭინავა (სამეგრელო)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ბახმარო 0:3 ენგური**

0:1 ბ. დარასელია (25), 0:2 ჯაბუა (50), 0:3 სიჭინავა (88)
გაფრთხილება: ბენდელიანი (ბახმარო), გოგიბერია (ენგური)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მერცხალი 1:0 ფაზისი**

1:0 კ. ტულუში (82)
გაფრთხილება: გ. ტულუში, თოხაძე (ორივე მერცხალი), მაკალათია (ფაზისი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| ენგური | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| სქური | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| სამეგრელო | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 6 |
| მერცხალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ფაზისი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| შუქურა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| კოლეჯი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| სალხინო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ბახმარო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:13 | 3 |
| ოდიში 2 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| კოლხეთი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

### აღმოსავლეთი

12 სექტემბერი

**ქანაგკო 0:3 ალგეთი**

0:1 სირაძე (61), 0:2 ბარამიძე (75), 0:3 ჩაგელიშვილი (90)
გაფრთხილება: თუშიშვილი (ქანაგკო), შუბითიძე (ალგეთი)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**ჭაბუკიანი 2:0 ალაზანი**

1:0 მეტრეველი (2), 2:0 პაქსაშვილი (64)
გაფრთხილება: ჯანდაგიშვილი (ალაზანი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**სამგორი 0:2 ყვარელი**

0:1 ხაჩიშვილი (47), 0:2 ლვინიაშვილი (81)
გაფრთხილება: არქანია, ჩაბრაძე (ორივე სამგორი), ლვინიაშვილი (ყვარელი)
გაძევება: არქანია (78, სამგორი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**მრეტები 0:0 უნივერსიტეტი**

გაფრთხილება: გერანდია, ფოჩხუა, ელიავა (ყველა მრეტები), ოდიკაძე, გოქაძე, თაბაგარი (ყველა უნივერსიტეტი)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

13 სექტემბერი

**აკადემია 2:0 არსენალი 2**

1:0 მეტრეველი (30), 2:0 ბახტაძე (78)
გაფრთხილება: ჩადუნელი, მეტრეველი (ორივე აკადემია), ჭაბაშვილი, ბერიანიძე, გოგიჩაიშვილი (ყველა არსენალი 2)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**კახეთი 2:0 დინამო 3**

1:0, 2:0 ჭვრიტიძე (13, 52)
გაფრთხილება: კობაიძე (კახეთი), ალახვერდოვი (დინამო 3)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**ზოოვეტი 0:3 ხალიბი**

*„ზოოვეტს", სამსაჯო ჰონორარის გადაუხდელობისთვის ჩაეთვალა წაგება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ლარწყალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| აკადემია | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ჭაბუკიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| არსენალი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ხალიბი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| ზოოვეტი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| ალგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| დინამო 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| უნივერსიტეტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| კახეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ალაზანი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | 3 |
| სამგორი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| მრეტები | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| ქანაგკო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:13 | 0 |

### ცენტრი

12 სექტემბერი

**მესხეთი 1:1 განთიადი**

0:1 ფეიქრიშვილი (21), 1:1 გოგოლაძე (83)
მსაჯი: ლ. რაზმაძე

**ჟინერი 5:2 ვარძია**

1:0 სულაძე (8), 2:0 ჩიტაური (15), 3:0 ი. ქეთელაური (18), 4:0 ა. ქეთელაური (54), 5:0 ი. ქეთელაური (63), 5:1 კოხრეიძე (70), 5:2 თარხნიშვილი (73)
გაფრთხილება: ცინაძე (ვარძია)
ქადაგიშვილმა (ჟინერი) ვერ გაიტანა პენალტი (40)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**იბერია 1:4 ლოკომოტივი 2**

0:1 ხურცილავა (15), 1:1 ბიძინაშვილი (40), 1:2, 1:3, 1:4 ძოძუაშვილი (46, 62, 86)
გაფრთხილება: ტყეშელაშვილი, ბარათაშვილი (ორივე იბერია), გოგნაძე (ლოკომოტივი 2)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

13 სექტემბერი

**თორი 0:1 დინამო 2**

0:1 გოცირიძე (63)
გაფრთხილება: გოცირიძე (დინამო 2)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**საუ 2:2 დილა 2**

1:0 მეტრეველი (20), 1:1 ბ. ჩიტაია (48), 1:2 სულთანიშვილი (60პ), 2:2 თალაკვაძე (83)
გაფრთხილება: ელბაქიძე (საუ), ბ. ჩიტაია (დილა 2)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ივერია 0:0 ქარელი**

გაფრთხილება: გაგნიძე (ქარელი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

14 სექტემბერი

**ცხუმი 1:1 ცხინვალი**

0:1 ტილკავაშვილი (39), 1:1 ბოჯგუა (86)
გაფრთხილება: საჯაია (ცხუმი), ტილკავაშვილი (ცხინვალი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 4 | 0 | 0 | 13:2 | 12 |
| ცხინვალი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 9 |
| ივერია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| განთიადი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:9 | 7 |
| ქარელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| საუ | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 7 |
| თორი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| იბერია | 4 | 2 | 0 | 2 | 6:10 | 6 |
| დილა 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 9:9 | 4 |
| ჟინერი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:13 | 3 |
| ცხუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| მესხეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |
| ვარძია | 4 | 0 | 0 | 4 | 5:18 | 0 |

# გენიოსთა შეცდომები და სასწაულები
# ბარიში ფლორენცია არ ყვარებიათ

UEFA CUP

## უეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

ამ კვირაში, მივიწყებული გვარი ჟუნინიო იმდენჯერ წარმოთქვეს და დაწერეს, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ნათლად — კაცი, რომელიც მას ატარებს, განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ბრაზილიელი მოთამაშე ზამთრის მერე მკურნალობდა. ძლიერ ნატკენმა ფეხმა მაისის ბოლოს რამდენიმე შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება მისცა და თქვეს კიდეც, გაცდენილის მიუხედავად ისე კარგად თამაშობს, ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ წაიყვანს სწორედ მოიქცევაო, მაგრამ ზაგალომ ჟუნინიოსთან თანამშრომლობა იუარა და ფეხბურთელიც ექიმებს მიუბრუნდა.

გასულ შაბათს ჟუნინიომ ტრავმას საბოლოოდ სძლია და ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრაში „სალამანკასთან“, შესვენების შემდეგ საქმეს შეუდგა. ის დიდებულად დაუბრუნდა მოედანს, „ატლეტიკოს“ 2:0 გაამარჯვებინა, ხოლო მიმომხილველებს დააწერინა, რომ მადრიდის გუნდი უეფას თასის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ასეთი განცხადების საბაბს სხვა მიზეზებთან ერთად, ბუნებრივია, ბრაზილიელის ნიჭი იძლეოდა.

მიმომხილველები უსაფუძვლოდ რომ არ წინასწარმეტყველებენ, სამშაბათს „ატლეტიკოსა“ და იუგოსლავიური „ობილიჩის“ შეხვედრაშივე გამოჩნდა. უკვე მე-15 წუთზე ჟუნინიომ რამდენიმე მოწინაალმდეგე ჩამოიშორა და ანგარიში გახსნა, შესვენების შემდეგ კი მისმა თანაგუნდელმა, ხოსე მარი რომერომ კარლოს აგილერას მარჯვენა მხრიდან ჩაწოდებულს ფეხი შეუშვირა და მეორე გოლი შეაგდო.

„ობილიჩი“ ბოლო ნახევარ საათში გამოფხიზლდა, შეუტია კიდეც, მაგრამ „ატლეტიკოს“ დაცვას, რომელიც მხოლოდ ნაკრების მოთამაშეებისგან შედგებოდა, ვერაფერი დააკლო.

...შვედმა თავდამსხმელმა ჰენრიკ ლარსონმა, შოტლანდიურ „სელტიკში“ რომ თამაშობს, პორტუგალიაში, იქაურ „ვიტორიას“ შეხვედრის პირველსავე წუთზე გოლი გაუტანა და ამით სტუმართა გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

მართალია, „ვიტორიამ“ ყველა ლონე იხმარა გასაქვითად, მაგრამ გლაზგოელთა დაცვაში ნაპრალი ვერ იპოვნა, რასაც ზედ მისი გოლკიპერის პედრო ესპინიას შეცდომაც დაერთო: ესპინიამ იმავე ლარსონის ძლიერად დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა და „სელტიკის“ ნახევარმცველს საიმონ დონელის დამატების საშუალება მისცა — 0:2. ეს 72-ე წუთზე მოხდა.

თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთი რჩებოდა, როდესაც მასპინძელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჟერალდო ჟუნიორმა საჯარიმოდან გულის მოსაფხანი და მკრთალი იმედის მომცემი გოლი გაიტანა.



REUTERS მადრიდიდან

ატლეტიკო — ობილიჩი. ჟუნინიო კვლავ ჯანმრთელი და შეუჩერებელია

ბირმინგემში, „ასტონ ვილას“ უწვერულმა მოთამაშემ დარიუშ ვასელმა ნორვეგიულ ნახევრადპროფესიულ „სტრომსგოდსეტთან“ შეხვედრის ბლო სამ წუთში ორჯერ დალაშქრა სტუმართა კარი და თავისიანებს 3:2 მოაგებინა.

— დარიუში შეცვლაზე იმიტომ შევიყვანეთ, რომ ბედი ეცადა, იქნებ გადავერჩინეთ, მან კი სულაც მოგვაგებინა — თქვა შეხვედრის შემდეგ „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ — მას ახალგაზრდულ გუნდში ბევრი გოლი აქვს გატანილი, ორი კვირის წინ ინგლისის 18 წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაშიც მიაღწია თავისას და შესაძლოა დღეისათვის დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ჯერ მთლად მზად არც იყოს, მაგრამ უთუოდ ბრწყინვალე მომავლის მქონეა.

„ვილა“, ინგლისის პრემიერლიგის ჯერჯერობით დაუმარცხებელი გუნდი, ნორვეგიელ მოწინაალმდეგესთან 0:2-ს აგებდა. დამარცხებას მასპინძლები ბოლო შვიდ წუთში გადარჩნენ. გადარჩენას კი საფუძველი 83-ე წუთზე გერი ჩარლზმა დაუდო.

თუმცა ჩარლზამდე „სტრომსგოდსეტის“ მოთამაშეებმა გაიტანეს ორი გოლი. ეს პირველი ტაიმის ამბებია: 21-ე წუთზე ანგარიში ანდერს მიკელსენმა გახსნა, 23-ზე კი უკვე შეცვლაზე შესულმა კრისტერ ჯორჯმა იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ ინიციატივა მასპინძლებმა მოიპოვეს, როგორც გითხარით, საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე 1:2 გახადეს და მსაჯის მიერ დამატებულ დროში ამას ვასელმა მოაყოლა კიდევ ორი გოლი.

სხვათა შორის, ვასელს „ვილას“ სასტარტო შემადგენლობაში არასდროს უთამაშია, მაგრამ რაგინდ სასწაული ჩაედინა, ის ყოველ შეხვედრაში მის გამეორებას, ბუნებრივია, ვერ შეძლებს. მოკლედ, სიხარული სიხარულად და ინგლისელ ჟურნალისტებს თავიდან 0:2 ჩამორჩენა ფრიად საგანგაშოდ ეჩვენათ, რის შესახებ ჰკითხეს კიდეც გრეგორის.

ორი გაშვებულიდან ერთში დამნაშავედ მწვრთნელმა ინგლისის ნაკრების მოთამაშე გარეთ საუთგეიტი დაასახელა.

— საუთგეიტი ახალ სეზონში ჩვენი საგანგებო ფეხბურთელი და იმედია. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა „ვილა“ პრემიერლიგის ცხრილის სათავეში რომ ბინადრობს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, დღეს მან უხეში შეცდომა დაუშვა, რის გამოც ჩვენ პირველი გოლი გავუშვით. რას იზამ, შეცდომები გენიოსებსაც მოსდით — განაცხადა გრეგორიმ.

ბელგიურმა „ბრიუგემ“ უნგრეთის ჩემპიონს „უიპეშტს“ შავი დღე აყარა — 5:0, თანაც ბუდაპეშტში. ანგარიში ლიტველმა თავდამსხმელმა ედგარას იანკაუსკასმა გახსნა. მან მე-12 წუთზე ერიკ დეფლენდრეს ჩაწოდებულს ჩინებული თავურით მოუძებნა სწორი გაგრძელება. შემდეგ ლიტველმა ალექსანდერ ილიჩს მეორე გოლი გაატანინა, ერთი ხნის შემდეგ კი ელონია ეკაკიას კარგი დაწყება სვენ ვერმანტის მესამე გოლით დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „უიპეშტის“ დაცვამ ხუთი წუთი გაძლო, ხოლო მერე ბრწყინვალე დარკო ანიჩმა ორ უნგრელ მცველს ჩაუცეკვა და მარცხენა ფეხით მეკარე ბიროს მეოთხედ გამოატანინა ბურთი კარის ბადიდან.

32-ე წუთზე „ბრიუგეს“ ფეხბურთელი გაუძევეს, მაგრამ მასპინძლები იმდენად დაჩაჩანაკებულნი იყვნენ, რომ ტიორვენ დე ბრულის არყოფნამ მათ ვერაფერი შემატა. ამიტომაც არავის გაკვირვებია ბელგიური გუნდის მეხუთე გოლი. ის შეხვედრის ბოლო წუთზე გავიდა. კვლავ ანიჩმა დააბნია „უიპეშტის“ მცველები და ეკაკიას გაატანინა.

სლოვაკეთში კი „კოშიცეს“ „ლივერპულმა“ 3:0 აჯობა. მასპინძელთა კარი თავიდან ჩეხმა პატრიკ ბერგერმა დალაშქრა. ეს მოხდა მე-18 წუთზე, როდესაც ბერგერმა 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა.

ბერგერის გოლიდან ხუთი წუთის შემდეგ გერმანელმა კარლჰაინც რიდლემ იხელთა მომენტი, როდესაც მოწინაალმდეგეებმა იგი უმეთვალყურეოდ დატოვეს და ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო, მესამე კი ინგლისელი ვარსკვლავბიჭუნას, მაიკლ ოუენისა გახლდათ.

ოუენს ასისტენტობა შეცვლაზე შესულმა რობი ფაულერმა გაუწია. ფაულერი მოედანზე სულ რამდენიმე წამის გამოჩენილი იყო (მას თებერვლის მერე ტრავმის გამო არ უთამაშია), როდესაც ის პასი შეასრულა, ოუენმა მეკარის, ლადისლავ მოლანრის ჩამოტოვების შემდეგ გოლად რომ აქცია.

— ყველანი ძალიან გაგვახარა ასეთმა ანგარიშმა... დღეს ნამდვილად კარგად, მეტიც, საუცხოოდ ვითამაშეთ. თანაც ჩინებულად გავითვალისწინეთ ის, რომ ევროპაში სუსტი მოწინაალმდეგე აღარ არსებობს — განაცხადა თამაშის მერე „ლივერპულის“ ერთ-ერთმა თავკაცმა, ფრანგმა ჟერარ ულიემ.

მარსელის „ოლიმპიკი“ გადარჩა. იგი ჩეხურ „სიგმასთან“ თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ერიკ რომმ იხსნა, არადა, თავიდან „ბებერი პორტის“ გუნდს საქმე კარგად მიუდიოდა — იტალიელმა ფაბრიციო რავანელიმ 29-ე წუთზე, ასე, 20 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში.

რავანელის გლი ჩეხმა მარეკ ჰაინცმა ექვს წუთში გაქვითა, შემდეგ კი კუთხურიდან ჩაწოდებულს ერთი შედეგიანი თავურიც დაჰკრა და შესვენებაზე თავისიანები უპირატესობით გაიყვანა.

„სიგმა“ მეორე ნახევარშიც რიხიანად თამაშობდა, სტუმრებს უპირატესად თავდაცვა უწევდათ, მაგრამ 83-ეზე რომმ საჯარიმოს კიდიდან დაარტყა და...

იტალიურმა „პარმამ“ სტამბოლში, „ფენერბაჰჩესთან“ 0:1 წააგო, თანაც სტუმრებმა შეხვედრა ცხრა კაცით დაამთავრეს — მსაჯმა მოედნიდან დინო ბაჯო და ფაბიო კანავარო გააძევა.

ერთადერთი გოლი „ფენერბაჰჩეს“ ახალმა ფეხბურთელმა, ინგლისური „ქოვენტრისგან“ ნაყიდმა რუმინელმა თავდამსხმელმა ვიორელ მოლდოვანმა გაიტანა. 23-ე წუთი იყო, როდესაც ელვირ ბალიჩის ჩაწოდებულ ჯარიმას რუმინელმა თავური დაახვედრა და 25 ათასი სტამბოლელი გულშემატკივარი გაახარა.

„ფენერბაჰჩე“ მართლაც უფრო ნაპერწკლიან გუნდად წარმოჩინდა, ვიდრე ცნობილი იტალიური მოწინაალმდეგე. მასპინძლები შეტევებში საკმაოდ ლაღობდნენ და თითქოს კითხვის ნიშნის ქვეშაც დააყენეს „პარმას“ სატრანსფერო დანახარჯის — 50 მილიონი დოლარის ფასი.

ანგარიშის გასათანაბრებლად იტალიელებმა დიდი ბრძოლა გააჩაღეს და მეორე ნახევარში უპირატესობაც ხელთ იგდეს (მიუხედავად იმისა, რომ ეროლ ბულუთის წინააღმდეგ უხეშობისთვის მოედნიდან მსაჯმა დინო ბაჯო გააძევა), მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს.

სტუმართა კოლუმბიელმა თავდამსხმელმა ფაუსტინო ასპრილიამ თურქთა დაცვას ბევრი ვერაფერი მოუხერხა და ამიტომაც იგი 8 მილიონად ნაყიდი მსოფლიო ჩემპიონით, ალენ ბოგოსიანით შეცვალეს. სტამბოლელთა უკანა ხაზს კი ნიგერიელი უჩე ოკეჩუკვუ უძღვებოდა გონივრულად.

ვერც 6,8 დოლარად შეძენილმა ნახევარმცველმა დიეგო ფუზერმა ასარგებლა პარმის გუნდი. გატანა კი არა, შეხვედრის მიწურულს მეკარე ჯანლუიჯი ბუფონს რომ არ ეყოჩაღა, ორი მწვავე კონტრშეტევის წყალობით „ფენერბაჰჩე“ უფრო დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვებდა.

მერე კი კანავაროც გააძევეს (ბალიჩის წაქცევისთვის) და თამაშიც მორჩა.

— ორივე გაძევება სრულიად სამართლიანი გახლდათ — განაცხადა პრესკონფერენციაზე სტამბოლელთა თავკაცმა იოაჰიმ ლოუმ — დღეს კარგი გამარჯვება მოვიპოვეთ. პირველ ტაიმში ძალიან ხარისხიანად ვითამაშეთ, მეორეში კი თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. მოკლედ, მთლიანობაში ერთობ კმაყოფილი გახლავართ.

ბელგრადში „ცრვენა ზვეზდას“ ფრანგული „მეცისთვის“ 2:0 რომ მოეგო, საპასუხო შეხვედრის ჩასატარებლად გაცილებით თავდაჯერებული ჩავიდოდა, მაგრამ ბრუნო როდრიგესის ბოლო წუთის დარტყმამ იუგოსლავიელებს საქმე მაინც სათუოდ გაუხადა.

არადა, „ცრვენა ზვეზდამ“ თამაშის პირველივე წამიდან დიდი უპირატესობა მოიპოვა და უკვე მესამე წუთზე გახსნა ანგარიში. ეს გოლი, შეხვედრის გმირმა, ახალგაზრდა პერიცა ოგნიენოვიჩმა გაიტანა. მან გორან დრულიჩის პასით ახლოდან მიაღწია მიზანს, ცხრა წუთის შემდეგ კი დეიან ილიჩის გრძელი პასი თავად დრულიჩმა აქცია მეორე გოლად.

„ცრვენა ზვეზდამ“ შეტევა არ შეანელა, კიდევ რამდენმე ხელსაყრელი მომენტი შექმნა, ოღონდ ოგნიენოვიჩმა თავის წილ შესაძლებლობებს ზუსტი საბოლოო დარტყმები დააკლო.



REUTERS გიმარაეშიდან

გიმარაეში — სელტიკი. პორტუგალიელი ედმილსონი გლაზგოელ ანონის გასცდა

შემდეგ კი, როგორც ხშირად ხდება, გოლი გაიტანა არა იმან, ვინც უტევდა, არამედ მან, ვისაც უტევდნენ. ჩინებული გადაცემა ფრედერიკ მეირომ შეასრულა, როდრიგესმა კი ბურთი ბადეში შეაგდო.

„ფიორენტინამ“ სპლიტის „ჰაიდუკს“ 2:1 ასე მოუგო: ორი გოლი ბრაზილიელმა ედმუნდომ გაიტანა, მანამდე ფლორენციელებმა ერთი გაუშვეს, ბოლოს კი იტალიის ნაკრების მცველი მორენო ტორიჩელი გააძევეს მოედნიდან.

თამაშის დამთავრებამდე რვა წუთი რჩებოდა, როდესაც გაბრიელ ბატისტუტას პასით ისარგებლა ხორვატთა საჯარიმოში მყოფმა ედმუნდომ და ბურთი ცხრიანში გაგზავნა. ეს ბოლო, ფლორენციელთა გამარჯვების გოლი გახლდათ, მანამედ კი, 51-ეზე, იმავე ედმუნდომ მეტოქის დაცვა გაარღვია, მეკარეს ტონჩი გაბრიჩს აუღელვებლად შემოურბინა და ანგარიში გაქვითა. ამრიგად, იურიცა ვუკოს მიერ 45-ე წუთზე გატანილი გოლი, ნაცვლად იმისა, რომ გამარჯვებისა გამხდარიყო, მეტოქის მოედანზე გატანილ იმედის გოლად იქცა.

სხვათა შორის, „ფიორენტინამ“ ეს შეხვედრა ბარიში, „სან ნიკოლას“ სტადიონზე ჩაატარა, რადგან ორი წლის წინ, თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის დროს მომხდარი უწესრიგობების გამო მისი [illegible] ორი შეხვედრით დისკვალიფიცირებული გახლავთ.

ბარიში ტრიბუნაზე მხოლოდ 10 ათასი მაყურებელი მივიდა.

„უდინეზესა“ და გერმანული „ლევერკუზენის“ ბრძოლა 1:1 დასრულდა. ეს იყო მატჩი, რომელშიც ორი ლამაზი გოლი გავიდა, დანარჩენი დრო კი უშელავათო ბრძოლამ წაიღო. ანგარიში სტუმარმა ულფ კირსტენმა მე-10 წუთზე ლამაზი, გაწოლილი თავურით გახსნა, მაგრამ მასპინძელმა ვალემმა თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე უბადლოდ შესრულებული ჯარიმით აღადგინა წონასწორობა.

შერცხვა თასების თასის გასული გათამაშების ფინალისტი „შტუტგარტი“. მან შინ 1:3 წააგო ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან“. სტუმართაგან ორი გოლი დანიელმა ფორვარდმა იონ დალ ტომასონმა გაიტანა, ერთ — ვან გასტელმა. „შტუტგარტის“ გოლი ფრედი ბობიჩმა შეაგდო.

— ბარძაყზე კუნთი დამეჭიმა, მაგრამ მგონი ტრავმა მძიმე არ უნდა იყოს — თქვა მატჩის შემდეგ ბობიჩმა — მეტოქეს ძალიან დიდი სივრცეები დავუთმეთ და სწორედ ეს იყო ჩვენი უმთავრესი შეცდომა.

— საპასუხო შეხვედრაში სასწაული თუ გვიხსნის, თუმცა ხანდახან ხომ სასწაულიც ხდება — თქვა „შტუტგარტის“ ჰოლანდიელმა ლიბერომ და კაპიტანმა ფრანკ ვერლაატმა.

**პაპუნა ძიდია**

## უეფას თასი. 1/32 ფინალი
პირველი მატჩები. 15 სექტემბერი

UEFA CUP

| | |
|---|---|
| სპარტა (ჩეხეთი) — სოსიედადი (ესპანეთი) | 2:4 |
| ფენერბაჰჩე (თურქეთი) — პარმა (იტალია) | 1:0 |
| ბლექბერნი (ინგლისი) — ლიონი (საფრანგეთი) | 0:1 |
| დინამო მოსკოვი (რუსეთი) — სკონტო რიგა (ლატვია) | 2:2 |
| გიმარაეში (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) | 1:2 |
| შტუტგარტი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 1:3 |
| არჯეში (რუმინეთი) — სელტა (ესპანეთი) | 0:1 |
| სილკებორგი (დანია) — რომა (იტალია) | 0:2 |
| ლკს (პოლონეთი) — მონაკო | 1:3 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — შტურმი (ავსტრია) | 1:1 |
| ფიორენტინა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია) | 2:1 |
| ასტონ ვილა (ინგლისი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) | 3:2 |
| შალკე (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი) | 1:0 |
| სერვეტი (შვეიცარია) — ცსკა (ბულგარეთი) | 2:1 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მეცი (საფრანგეთი) | 2:1 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — ლივერპული (ინგლისი) | 0:3 |
| სპორტინგი (პორტუგალია) — ბოლონია (იტალია) | 0:2 |
| მარიბორი (სლოვენია) — ვისლა (პოლონეთი) | 0:2 |
| ვეილე (დანია) — ბეტისი (ესპანეთი) | 1:0 |
| ბორდო (საფრანგეთი) — რაპიდი (ავსტრია) | 1:1 |
| ატლეტიკო (ესპანეთი) — ობილიჩი (იუგოსლავია) | 2:0 |
| ბეითარი (ისრაელი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1:1 |
| ლიდსი (ინგლისი) — მარიტიმუ (პორტუგალია) | 1:0 |
| უდინეზე (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია) | 1:1 |
| სტიაუა (რუმინეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 3:4 |
| ციურიხი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | 4:0 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — ბრიუგე (ბელგია) | 0:5 |
| ვიტესი (ჰოლანდია) — აეკ (საბერძნეთი) | 3:0 |
| ბრანი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | 2:0 |
| სიგმა (ჩეხეთი) — მარსელი (საფრანგეთი) | 2:2 |

# თემური პარტიზანების წინააღმდეგ

Cup Winners' Cup

## თასების თასის მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

დღეს „ჩელსი" ტიტულის დაცვას იწყებს. საერთაშორისო ვარსკვლავებით დაკომპლექტებული თასების თასის მფლობელი პირველ ევროპულ გამოცდას აბარებს.

მსოფლიოს სტადიონებზე სახელდაგდებულ ფეხბურთელებს ამ საღამოს შვედურ „ჰელსინგბორგთან" უწევთ დაპირისპირება. ლონდონელთა მოთამაშე მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი „სტემფორდ ბრიჯის" გასახდელში თავის ბიჭებს ალბათ ისე გამარჯვებას მოთხოვს, საპასუხო შეხვედრას აზრი რომ დაეკარგოს, მაგრამ ისიც ცხადზე უცხადესია, რომ „იუვენტუსის" სკოლაგამოვლილ ვიალის მოწინააღმდეგის შეფასება-დაფასება არ შეეშლება.

გუშინ „ჩელსის" ფეხბურთელები ჩვეულებრივი ვარჯიშის შემდეგ შინ არ წასულან. ისინი ბაზაზე დარჩნენ და „ჰელსინგბრგის" თამაშების ვიდეოჩანაწერებს ჩაუსხდნენ.

— როდესაც მეტოქის ერთი მოთამაშის გვარიც არ გსმენია, სიფხიზლე გმართებს. ასეთმა მეტოქემ შესაძლოა ძალიან დიდი სიურპრიზი შემოგთავაზოს, ევროშეჯიბრებებს ხომ საგანგებო ხიბლი აქვს: თუ წააგებ, გავარდები და ეს ერთიორად გაღელვებს, გძაბავს და ბრძოლისკენ გაქეზებს — ეს სიტყვები ლონდონელთა ახალ შენაძენს, „მილანიდან" „სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგებულ ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონს მარსელ დესაის ეკუთვნის.

თასების თასზე დღეს კიდევ ერთი სახელოვანი გუნდი, უეფას თასის გასული გათამაშების ფინალისტი, იტალიური „ლაციო" იწყებს ასპარეზობას. რომაელთა მოწინააღმდეგეა შვეიცარიის „ლოზანა".

„ლაციომ" გასულ უქმეებზე, იტალიის პირველობის პირველ ტურში „პიაჩენცას" ვერ აჯობა, 1:1 ეთამაშა და ქომაგებს ეჭვები გაუჩინა. ასე რომ ამ საღამოს მათი გულიც მოგებას შეეცდება. წესითა და რიგით იტალიელებს მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან გარდა იმისა, რომ მასზე ობიექტურად ძლიერნი არიან, შეხვედრა მათ „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება.

„ლაციომ" „ჩელსის" არ იყოს, გასულ ზაფხულს ქისას პირი მოხსნა და ფეხბურთელების შეძენაში ფული არ დაინანა. კლუბმა არც მეტი, არც ნაკლები, 111 მილიონი დოლარი დახარჯა სასურველი შემადგენლობის თავმოსაყრელად. ამ თანხის ყველაზე დიდი ნაწილი, 28 მილიონი, რომაელებმა მადრიდის „ატლეტიკოს" ჩაუთვალეს იტალიელი ვარსკვლავის, მსოფლიოს ჩემპიონატზე სახელდაგდებული კრისტიან ვიერის გასათავისებლად.

„ლაციოს" საერთაშორისო ვარსკვლავთკრებულში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ჩილელ ფორვარდს მარსელო სალასს, იუგოსლავიელებს სინიშა მიჰაილოვიჩს და დეიან სტანკოვიჩს, აგრეთვე „ბარსელონადან" გადაყვანილ ივან დე ლა პენიას.

„ლოზანასთან" „ლაციოს" ვიერი არ ეყოლება და ალბათ მას 33 წლის რობერტო მანჩინით შეცვლიან. მანჩინი და სალასი, ასეთი დუეტია მასპინძელთა თავდასხმაში მოსალოდნელი.

თასების თასზე თემურ ქეცბაიასაც დღეს მოუწევს საქმეში ჩართვა. ის და მისი „ნიუკასლი" ახალი მწვრთნელის, დიდი რუუდ გულიტის ხელმძღვანელობით ბელგრადის „პარტიზანს" უმასპინძლებენ.

პარტიზანი ხომ გახსოვთ? ეს ის გუნდია, წინა, საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბათუმი" რომ გამოთიშა შეჯიბრიდან.

მართალია, „ნიუკასლ" — „საუთჰემპტონის" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ალან შირერი დაასახელეს, მაგრამ მატჩის მეორე დღეს გამოსულ „ნიუზ ოფ ზე ვორლდის" ფურცელზეც ქართველთათვის გასახარი რამ წავიკითხე — ამ გაზეთის აზრით, თემურ ქეცბაია იყო შაბათის თამაშის გმირიც და საუკეთესო ფეხბურთელიც.

კმაყოფილი ტელეფონთან მივედი და ქეცბაიების ნომერი ავკრიფე. თემურმა, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელად „საუთჰემპტონთან" შირერის მეწყვილედ ითამაშა თავდასხმაში, აი, ეს თქვა:

## ქეცბას გულიტის ეიმედება

— ბევრს გაუკვირდა გულიტმა რომ თავდასხმაში გამამწესა. თურმე მწვრთნელს ვარჯიშებზე შეუნიშნავს, წინ თამაშის უნარი რომ შემწევს და მატჩის წინაც დამავალა, შენ შირერის ირგვლივ ირბინე, ეცადე, ხელსაყრელი პოზიცია შეუქმნა, მცველები გაიტყუე, დანარჩენი კი თავად იცისო.

**— ისე ლაპარაკობ, თითქოს დალგლიში ვარჯიშებზე არ გაკვირდებოდა.**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია — გულიტის სავარჯიშო მეთოდი ბევრად განსხვავდება დალგლიშისაგან. ადრე ერთთავად ბურთის მოგერიებასა და მერე ბრძოლას გვასწავლიდნენ, ახლა კი გულიტის ვარჯიშები მეტად მრავალფეროვანია, ბურთთან უფრო ხშირად ვართ.

**— ისეთი რა შეგნიშნა მწვრთნელმა, პირდაპირ თავდამსხმელობა რომ დაგავალა?**

— მატჩის მერე თავად თქვა, ქეცბაიას ვარჯიშებზე შევატყვე, რომ შირერს კარგად შეეწყვილებოდა, თავი მომაწონა და დღესაც გაამართლაო. მე კი ვარჯიშებზე სასწაული არ მომიხდენია, როგორც ყოველთვის, უსიტყვოდ ვასრულებდი მწვრთნელის დავალებას.

**— მოკლედ, გულიტის კმაყოფილი ხარ.**

— ნამდვილად ასეა. მგონი, ჩემი დროც დადგა. გულიტი ალბათ ძირითადში მათამაშებს.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

# რჩევები ჟირესს

დღეს საღამოს თასების მფლობელთა თასზე ჰაიფას „მაკაბის" წინააღმდეგ „პარი სენ ჟერმენი" თამაშობს. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მატჩზე თქვენს ყურადღებას არც გავამახვილებდით, რომ არა ერთი საინტერესო რამ. როგორც იცით, სეზონის დასაწყისში პარიზულ გუნდში დიდი ცვლილებები მოხდა, უამრავი ახალი კაცი მივიდა, კლუბის პრეზიდენტ შარლ ბიეტრიდან დაწყებული, „ალანიას" ნახევარმცველ იანოვსკით დამთავრებული. თუმცა ამ ახალწვეულთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან დღეს მისი დებიუტი იქნება ევროპულ სარბიელზე. დებიუტი როგორც მწვრთნელისა, თორემ ფეხბურთელობისას ალან ჟირესს მრავალი თამაში ჩაუტარებია ფრანგული „ბორდოსა" და „მარსელის" შემადგენლობაში სხვადასხვა ევროთასზე. ჟირესმა მწვრთნელობის რთულ პროფესიას ცოტა ხნის წინ მოჰკიდა ხელი. წელს ეს მისი მესამე სეზონია. პირველი ორი წელი მან ტულუზში გაატარა და, შეიძლება ითქვას, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. საფრანგეთის მეორე დივიზიონის ბინადარი შარშან პირველში გადაიყვანა და ადგილის შენარჩუნებაშიც მიეხმარა. „პარი სენ ჟერმენმა" კი მხოლოდ ხუთი ოფიციალური მატჩის გამართვა მოასწრო ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის ხელმძღვანელობით. შედეგი კი არცთუ საკვეხარია — ორი მარცხი „ბორდოსთან" გასვლაზე და „ლორიანთან" შინ, ორი გამარჯვება „ბასტიასთან" და სტრასბურში და ნულოვანი ფრე ნანსიში. თუმცა ეს საშინაო ჩემპიონატია, ევროთასის გათამაშებაში კი პარიზელთაგან სულ სხვა თამაშია მოსალოდნელი. მათი თავკაცისთვის საქმის შემსუბუქება სხვა ცნობილმა ფრანგმა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს და ალენ ჟირესს თავიანთი პირველი ევროპული მატჩების გამოცდილება გაუზიარეს.

არსენ ვენგერი (არსენალი): „ჩემი პირველი ევროთამაში ნამდვილად ცუდად ჩამრჩა მეხსიერებაში. 1993-94 წლების სეზონში ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში „მონაკო" 0:1 დამარცხდა. ეს საშინელება იყო, რადგან „მონაკოს" იმ დროს ჯერ კიდევ არც ერთი ეტაპი არ ჰქონდა დაძლეული. მაგრამ ჩემმა მაგალითმა ჟირესი არ უნდა დაანაღვლიანოს, პირველი მატჩის წაგება დიდი უბედურება არაა. მაშინაც განმეორებით შეხვედრა ჟორჟ ვეას ორი გოლის წყალობით 2:0 მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზეც გავედით".

გი რუ („ოსერი"): „1984 წლის შემოდგომა იყო. წილისყრამ იმ დროის ევროპის ერთ-ერთი გრანდი, ლისაბონის „სპორტინგი" გვარგუნა. პირველ მატჩს პორტუგალიაში 70000 კაცი დაესწრო. ორი ინდივიდუალური შეცდომა წაგებად დაგვიჯდა. თან ყველაზე უფრო ის მეწყინა, რომ მეტოქის მინდორზე გოლის შეგდება ვერ მოვახერხეთ. თუმცა ეს შედეგი მოულოდნელი არ იყო ჩემთვის, რადგან მანამდე ორჯერ ჩავედი მოწინააღმდეგის საქმეში სანახავად. სამახსოვროდ კიდევ ის დამრჩა, რომ იმ პერიოდში პორტუგალიურ გუნდებსა და ტელევიზიას შორის მეტისმეტად დაძაბული ურთიერთობები იყო. მეც ავდექი და ჩვენი ტელეარხის კამერა ჩემი სპორტული ჩანთით შევაპარე სტადიონზე. ასე აღმოჩნდა FRANCE 3 ერთადერთი, ვინც იმ თამაშის გადაღება მოახერხა. ალენ ჟირესი კი ბევრ რჩევას არ საჭიროებს ჩემგან, რადგან „ბორდოსა" და „მარსელის" შემადგენლობაში ჩატარებული მატჩები ადვილად გააბათილებენ მისი, როგორც მწვრთნელის, გამოუცდელობას. მთავარია, შეხვედრის წინა ღამეს კარგად გამოიძინოს და მეტოქეს არ შეუშინდეს".

როლან კურბისი („მარსელი"): „ის თამაში ისე ცხადად მახსოვს, თითქოს გუშინ გამართულიყოს. მეორე სეზონი იყო, რაც „ბორდოს" ვწვრთნიდი. უეფას თასზე დუბლინის „ბოჰემიანსს" შევებით. რკინასავით გაუტეხელნი აღმოჩნდნენ ირლანდიელები. დუბლინში თავიანთ შესაძლებლობებზე უკეთ ითამაშეს და მათი წინააღმდეგობა ძლივს გადავლახეთ, 1:0 მოვიგეთ. ბორდოში კი უკვე 5:0 გავიმარჯვეთ. ძალიან კმაყოფილი ვიყავი შემდეგ ეტაპზე გასვლით, რადგან როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე მწვრთნელთათვისაც ევროტურნირზე მოპოვებული გამარჯვებები ალბათ ყველაზე ძვირფასია მთელი კარიერის მანძილზე. ალენ ჟირესი ჩემი დიდი მეგობარია და მთელი გულით და სულით ვუსურვებ, რაც შეიძლება მეტი ეტაპი დაეძლიოს პსჟ-სთან ერთად".

რა სარგებლობას მოუტანს კოლეგების გამოცდილება და რჩევები პსჟ-ს ახალ თავკაცს, ამას დღეს საღამოს ვნახავთ. ისე კი ჩვენდათავად დავამატებთ, რომ პარიზელებს ევროთასებზე ყველაზე უკეთ თასების თასზე გამოსვლა ეხერხებათ. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში მათ სწორედ ამ თასით დაამშვენეს საკუთარი კოლექცია (მაშინ ლუის ფერნანდესი ედგათ სათავეში) და ერთხელაც ფინალში დასანანი მარცხი იწვნიეს „ბარსელონასთან". ასე რომ, წელს არც თუ სახარბიელოდ დაწყებული ჩემპიონატის გამო განაწყენებული ფანების გულის მოგებას ისინი ნაღდად თასების თასზე ძლიერი გამოსვლით შეეცდებიან.

**გაიოზ თალაკვაძე**



შარლ ბიეტრი (მარჯვნივ) ალენ ჟირესისგან დღეს მხოლოდ გამარჯვებას ელის

# სერია A-სთვის 18 ბევრია

წელს საფრანგეთში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების გათამაშებიდან ნაადრევად გამოთიშვამ იტალიელი ფეხბურთის ჩინოსნები საკმაოდ ჩააფიქრა. ამას ის მოჰყვა, რომ ჩეზარე მალდინი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მისი ადგილი დინო ძოფმა დაიკავა. თუმცა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ მარცხის მარტო ნაკრების მწვრთნელისთვის დაბრალება არ იკადრა და გადაწყვიტა, ქვეყნის ფეხბურთის ორგანიზაციაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. პირველი ნაბიჯი ამ საქმეში სამშაბათს გადაიდგა, როცა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ განაცხადა, რომ იტალიის ჩემპიონატის სერია A 18 გუნდიდან 16-მდე შემცირდება უახლოეს მომავალში. ამ გადაწყვეტილებით ბატონი ნიცოლა ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს. ჯერ ერთი, ჩემპიონატს სიმწვავე, რომელიც არც ისე აკლია, ერთიორად მოემატება და თან იტალიურ კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებებს შორის არსებული უთანხმოება ფეხბურთელების თავიანთ ნაკრებებში გაშვება-არგაშვების თაობაზე შეიძლება გადაწყდეს. „ვფიქრობ, უკეთესი იქნება თუ სულ მალე სერია A-ში 18-ის ნაცვლად 16 გუნდი იქნება, რადგან დღეს სულ უფრო და უფრო ჭირს ჩვენი კლუბების და იტალიის და სხვა ქვეყნების ეროვნული გუნდების მოთხოვნების ერთდროულად დაკმაყოფილება" — ამ სიტყვებით ამცნო ნიცოლამ საფეხბურთო საზოგადოებრიობას თავისი ახალი, ზოგისთვის მიულებელი და გაუგებარი, ზოგისთვის კი მეტად სასიხარულო გადაწყვეტილება. სერია A ადრეც კარგა ხნის მანძილზე ყოფილა 16 გუნდიანი. პირველად ეს 1934-43 წლებში იყო, შემდეგ კი 1967-88 წლებში.

მართლაც, მსოფლიოს უამრავ ნაკრებს ექმნება პრობლემები იტალიის ჩემპიონატის გადამკიდეს. სერია A-ში ხომ 150-მდე უძლიერესი უცხოელი თამაშობს, რომლებიც ამავდროულად თავთავიანთ ეროვნული გუნდების წამყვანი მოთამაშეებიც არიან. ხოლო იტალიის ჩემპიონატის გადატვირთული კალენდრის გამო მათ ბევრ ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება სათუო უხდებათ ხოლმე.

ზემოთ ნათქვამის მაგალითად ბრაზილიასა და მილანურ კლუბებს, „მილანსა" და „ინტერს" შორის არსებული კონფლიქტიც გამოდგება, რაც რონალდოსა და ლეონარდოს შეიძლება ბრაზილიის ნაკრების რამდენიმე მატჩის გამოტოვებადაც დაუჯდეთ.

**გაგი გურულია**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — ვარტექსი (ხორვატია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პანიონიოსი (საბერძნეთი) — ჰაკა ვალკეაკოსკი (ფინეთი) | (1,1-5,0) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| რიდი (ავსტრია) — მტკ ბუდაპეშტი (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — ამიცა (პოლონეთი) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჰართსი (შოტლანდია) — მალიორკა (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი (ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დუისბურგი (გერმანია) — გენკი (ბელგია) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — სპარტაკი ტრანავა (სლოვაკეთი) | (1,3-2,8) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| რაპიდი ბუქარესტი (რუმინეთი) — ვალერენგა (ნორვეგია) | (1,25-3,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აპოლონი ლიმასოლი (კვიპროსი) — იაბლონეცი (ჩეხეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლაციო (იტალია) — ლოზანა (შვეიცარია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| პსჟ (საფრანგეთი) — მაკაბი ჰაიფა (ისრაელი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — ბრაგა (პორტუგალია) | (15,0-1,01) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| ცსკა კიევი (უკრაინა) — ლოკომოტივი მოსკოვი (რუსეთი) | (5,0-1,1) | 3,0 | 2,9 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა B ჯგუფი

CHAMPIONS LEAGUE

## გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი)

დაარსდა 01.10.1905
სტადიონი „ალი სემი იენი“ (40 000)
პრეზიდენტი სურენ ფარუკი
მწვრთნელი ფათიჰ თერიმი
კაპიტანი ბიულენთ კორკმაზი



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (12) | 1962, 63, 69, 71, 72, 73, 87, 88, 93, 94, 97, 98 |
| თასის მფლობელი (11) | 1963, 64, 65, 66, 73, 76, 82, 85, 91, 93, 96 |
| ყველაზე მეტი მატჩი | მეთინ ოქთაი (608) |
| ყველაზე მეტი გოლი | მეთინ ოქთაი (211) |

ჩემპიონთა ლიგაში გალათასარაის თამაშების განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.09 | გალათასარაი - ალტეტიკი | 25.11 | გალათასარაი - იუვენტუსი |
| 21.10 | რუსენბორგი - გალათასარაი | 09.12 | ატლეტიკი -გალათასარაი |
| 04.11 | გალათასარაი - რუსენბორგი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | კლაუდიო ტაფარელი (ბრაზილია) | მეკარე | 08.05.66 | ? |
| 12. | მეჰმეთ ბოლუკბაში | მეკარე | 24.08.78 | ? |
| 26. | ქერიმ ინანი | მეკარე | 25.03.80 | ? |
| 3. | ბიულენთ კორკმაზი | მცველი | 24.11.68 | 181/80 |
| 4. | ვედათ ინსიფი | მცველი | 01.04.74 | 184/80 |
| 14. | ფათიჰ აკიელი | მცველი | 26.12.77 | 180/79 |
| 16. | ადნან ილჩინი | მცველი | 03.08.73 | 184/77 |
| 23. | იულიენ ფილიპესკუ (რუმინეთი) | მცველი | 29.03.74 | 187/80 |
| 28. | ალფერ თეზქანი | მცველი | 03.05.80 | ? |
| 2. | უფუკ თალაი | ნახევარმცველი | 26.03.76 | 179/76 |
| 5. | გეორგე „ჯიკა“ პოპესკუ (რუმინეთი) | ნახევარმცველი | 09.10.67 | 188/73 |
| 8. | ერგუნ ფენბე | ნახევარმცველი | 17.05.72 | 178/64 |
| 10. | გეორგე ჰაჯი (რუმინეთი) | ნახევარმცველი | 05.02.65 | 174/73 |
| 19. | თოლუნაი ქაფქასი | ნახევარმცველი | 31.03.68 | ? |
| 20. | თუგაი ქერიმოლლუ | ნახევარმცველი | 24.08.70 | 176/73 |
| 21. | სუათ ქაია | ნახევარმცველი | 26.08.67 | 169/62 |
| 22. | იუმით დავალა | ნახევარმცველი | 30.07.73 | 186/74 |
| 25. | ჰაქან უნალი | ნახევარმცველი | 14.05.73 | 178/78 |
| 27. | იუმით აიდინი | ნახევარმცველი | 16.01.80 | ? |
| 30. | ემრი ბელიოზოლლუ | ნახევარმცველი | 07.09.80 | 171/68 |
| 6. | არიფ ერდამი | თავდამსხმელი | 02.01.72 | 180/72 |
| 7. | ოქან ბურუქი | თავდამსხმელი | 19.10.73 | 169/69 |
| 9. | ჰაქან შუქური | თავდამსხმელი | 01.09.71 | 191/81 |
| 11. | მეჰმეთ გონულაჩარი | თავდამსხმელი | 03.03.72 | 187/77 |
| 13. | ჰასან სას გოქჰანი | თავდამსხმელი | 01.08.76 | ? |
| 15. | ოსმან ქოსკუნი | თავდამსხმელი | 11.01.72 | 170/65 |
| 18. | ბურაკ აკდისი | თავდამსხმელი | 12.06.77 | ? |

## რუსენბორგი (ტრონდჰეიმი, ნორვეგია)

დაარსდა 19.05.1917
სტადიონი „ლერკენდალი“ (21 000)
პრეზიდენტი კურტ კრისტიანსენი
მწვრთნელი ტრონდ სოლიდი
კაპიტანი ბენტ სკამელსრუდი



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (12) | 1967, 69, 71, 85, 88, 90, 92, 93, 94, 95, 96, 97 |
| თასის მფლობელი (7) | 1960, 64, 71, 88, 90, 92, 95 |
| ყველაზე მეტი მატჩი | ოლე ბიე რისე (457) |
| ყველაზე მეტი გოლი | ოდ ივერსენი (158) |

ჩემპიონთა ლიგაში რუსენბორგის თამაშების განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.09 | რუსენბორგი - იუვენტუსი | 25.11 | რუსენბორგი - ატლეტიკი |
| 21.10 | რუსენბორგი - გალათასარაი | 09.12 | იუვენტუსი - რუსენბორგი |
| 04.11 | გალათასარაი - რუსენბორგი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | იორნ იამტფალი | მეკარე | 24.07.66 | 188/84 |
| 12. | არნი გუტარ არასონი | მეკარე | 07.05.75 | 187/85 |
| 13. | იესპენ ისაკსენი | მეკარე | 16.01.79 | 184/74 |
| 2. | ანდრი ბერგდოლმო | მცველი | 13.10.71 | 187/87 |
| 3. | ერიკ ჰოფტუნი | მცველი | 03.03.69 | 186/85 |
| 4. | ბიორნ ოტო ბრაგსტადი | მცველი | 05.01.71 | 194/84 |
| 14. | ოლე კრისტერ ბასმა | მცველი | 01.08.72 | 189/75 |
| 16. | ბენტ ინგე იონსენი | მცველი | 28.01.72 | 188/90 |
| 17. | ბორგ ჰერნესი | მცველი | 11.12.76 | 180/75 |
| 23. | მორტენ პედერსენი | მცველი | 12.04.72 | 186/81 |
| 6. | როარ სტრანდი | ნახევარმცველი | 02.02.70 | 179/77 |
| 7. | რუნარ ბერგი | ნახევარმცველი | 07.10.70 | 179/73 |
| 10. | ბენტ სკამელსრუდი | ნახევარმცველი | 18.05.66 | 178/76 |
| 15. | ანდრეას მაიერი | ნახევარმცველი | 13.09.72 | 179/78 |
| 18. | სტეინარ ლეინი | ნახევარმცველი | 26.07.71 | 187/82 |
| 19. | ფრედრიკ ვინსნესი | ნახევარმცველი | 28.12.75 | 175/70 |
| 24. | მადს კრისტიან სკაერვოლდი (დანია) | ნახევარმცველი | 03.01.80 | 172/66 |
| 8. | იან დერეკ სორენსენი | თავდამსხმელი | 28.12.71 | 177/75 |
| 9. | სიგურდ რუშფელდტი | თავდასმხმელი | 11.12.72 | 188/86 |
| 11. | იან ივარ „მინი“ იაკობსენი | თავდამსხმელი | 08.11.65 | 168/72 |
| 20. | რობერტ ბოეტინგი | თავდამსხმელი | 13.07.74 | 173/73 |
| 21. | ტორე ანდრე დალუმი | თავდამსხმელი | 21.06.68 | 187/79 |
| 22. | კრისტიან სორლი | თავდამსხმელი | 08.08.76 | 178/76 |
| 25. | ოივინდ სტორფლორი | თავდამსხმელი | 18.12.79 | 182/69 |

# გალათასარაი რუსენბორგი ატლეტიკი იუვენტუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

## ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.01.1898 |
| სტადიონი | „სან მამესი“ (46 223) |
| პრეზიდენტი | ხოსე მარია არარტე ლოსა |
| მწვრთნელი | ლუის ფერნანდესი (საფრანგეთი) |
| კაპიტანი | იულენ გერერო |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (8) | 1930, 31, 34, 36, 43, 56, 83, 84 |
| თასის მფლობელი (23) | 1903, 04, 10, 11, 14, 15, 16, 21, 23, 30, 31, 32, 33, 43, 44, 45, 50, 55, 56, 58, 69, 73, 84 |
| ყველაზე მეტი მატჩი | ხოსე ანხელ ირიბარი (466) |
| ყველაზე მეტი გოლი | ხოსე ტელმო სარა (251) |

1977 წელს უეფას თასის ფინალისტი (წააგო „იუვენტუსთან“ 2:1, 0:1)

**ჩემპიონთა ლიგაში ატლეტიკის თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | გალათასარაი-ატლეტიკი |
| 21.10 | ატლეტიკი-იუვენტუსი |
| 04.11 | იუვენტუსი-ატლეტიკი |
| 25.11 | რუსენბორგი-ატლეტიკი |
| 09.12 | ატლეტიკი-გალათასარაი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ხუან ხოსე ვალენსია | მეკარე | 18.09.71 | 180/73 |
| 13. | იმანოლ ეჩებერია | მეკარე | 27.03.73 | 185/80 |
| 26. | დანიელ არანზუბია აგუადო | მეკარე | 18.09.79 | 186/82 |
| 3. | სესარ ფერნანდეს ჰერასი | მცველი | 10.05.78 | 176/71 |
| 4. | რაფაელ ალკორტა მარტინესი | მცველი | 16.09.68 | 179/74 |
| 10. | აიტორ ლარასაბალ ბილბაო | მცველი | 21.06.71 | 173/70 |
| 11. | ხოსე მარია ლაკრუზ გომესი | მცველი | 25.04.78 | 175/71 |
| 15. | პაჩი ფერეირა კოლმენერო | მცველი | 22.05.67 | 181/76 |
| 19. | მიგელ ლასა გოიკოეჩეა | მცველი | 09.09.71 | 174/69 |
| 21. | ინიგო ლარაინსარ სანტამარია | მცველი | 05.06.71 | 173/69 |
| 24. | რობერტო რიოს პატუსი | მცველი | 08.10.71 | 192/84 |
| 5. | ფელიპე გურენდესი | ნახევარმცველი | 18.11.75 | 174/70 |
| 6. | ხოსე ურუტია ტელეირა | ნახევარმცველი | 10.04.68 | 177/70 |
| 7. | ანდონი იმას გარმენდია | ნახევარმცველი | 05.09.71 | 177/75 |
| 8. | იულენ გერერო ლოპესი | ნახევარმცველი | 07.01.74 | 182/77 |
| 12. | კარლოს გარსია | ნახევარმცველი | 13.09.70 | 183/73 |
| 14. | ხოსე მარი გარსია ლაფუენტე | ნახევარმცველი | 10.02.71 | 180/78 |
| 16. | ჩომინ ნაგორე არბისუ | ნახევარმცველი | 26.08.74 | 184/73 |
| 18. | ბიტორ ალკისა ფერნანდესი | ნახევარმცველი | 26.10.70 | 169/64 |
| 22. | გომეს ხავი გონსალესი | ნახევარმცველი | 22.03.74 | 178/74 |
| 23. | ხორხე პერეს საენსო | ნახევარმცველი | 24.10.75 | ? |
| 9. | სანტიაგო ესკუერო მარინი | თავდასმხმელი | 14.12.76 | 189/74 |
| 17. | ხოსება ეჩებერია ლისარდი | თავდამსხმელი | 05.09.77 | 178/72 |
| 20. | ისმაელ ურსაის არანდა | თავდამსხმელი | 07.10.71 | 188/83 |
| 25. | ხუან პერეს ალონსო ბოლო | თავდამსხმელი | 05.03.74 | 185/78 |

## იუვენტუსი (ტურინი, იტალია)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 01.11.1897 |
| სტადიონი | „დელე ალპი“ (69 041) |
| პრეზიდენტი | ვიტორიო ჩუსანო |
| მწვრთნელი | მარჩელო ლიპი |
| კაპიტანი | ანტონიო კონტე |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (25) | 1905, 26, 31, 32, 33, 34, 35, 50, 52, 58, 60, 61, 67, 72, 73, 75, 77, 78, 81, 82, 84, 86, 95, 97, 98 |
| თასის მფლობელი (9) | 1938, 42, 59, 60, 65, 79, 83, 90, 95 |
| ყველაზე მეტი მატჩი | გაეტანო. შირეა (550) |
| ყველაზე მეტი გოლი | ჯამპიერო ბონიპერტი (177) |

1985, 96 წლებში ჩემპიონთა თასის მფლობელი

1973, 83, 97, 98 წლებში ჩემპიონთა თასის ფინალისტი

1984 წელს თასების თასის მფლობელი

1977, 90, 93 წელს უეფას თასის მფლობელი

1965, 71, 95 წლებში უეფას თასის ფინალისტი

1985, 96 წლებში სუპერთასის მფლობელი

1985, 96 წლებში საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი

**ჩემპიონთა ლიგაში იუვენტუსის თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | რუსენბორგი — იუვენტუსი |
| 21.10 | ატლეტიკი — იუვენტუსი |
| 04.11 | იუვენტუსი — ატლეტიკი |
| 25.11 | გალათასარაი — იუვენტუსი |
| 09.12 | იუვენტუსი — რუსენბორგი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ანჯელო პერუცი | მეკარე | 16.02.70 | 181/88 |
| 12. | მიქელანჯელო რამპულა | მეკარე | 10.08.62 | 188/74 |
| 22. | მორგან დე სანტისი | მეკარე | 26.03.77 | 190/80 |
| 2. | ჩირო ფერარა | მცველი | 11.02.67 | 180/75 |
| 3. | ზორან მირკოვიჩი (იუგოსლავია) | მცველი | 21.09.71 | 183/75 |
| 4. | პაოლო მონტერო (ურუგვაი) | მცველი | 02.09.71 | 179/74 |
| 6. | მანუელ მარკეშ დიმაში (პორტუგალია) | მცველი | 16.02.69 | 185/76 |
| 13. | მარკ იულიანო | მცველი | 12.08.73 | 187/80 |
| 15. | ალესანდრო ბირინდელი | მცველი | 12.11.74 | 176/71 |
| 17. | ჯანლუკა პესოტო | მცველი | 11.08.70 | 173/67 |
| 19. | იგორ ტუდორი (ხორვატია) | მცველი | 16.04.78 | 193/90 |
| 5. | ფაბიო პეკია | ნახევარმცველი | 24.08.73 | 171/68 |
| 7. | ანჯელო დი ლივიო | ნახევარმცველი | 26.07.66 | 173/73 |
| 8. | ანტონიო კონტე | ნახევარმცველი | 31.07.69 | 178/73 |
| 14. | დიდიე დეშამპი (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 15.10.68 | 174/71 |
| 18. | ჟოსელინ ბლანშარი (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 28.05.72 | 178/70 |
| 20. | ალესიო ტაკინარდი | ნახევარმცველი | 23.07.75 | 187/80 |
| 21. | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 23.06.72 | 185/80 |
| 23. | სიმონე პეროტა | ნახევარმცველი | 17.09.77 | 180/71 |
| 25. | ედგარ დავიდსი (ჰოლანდია) | ნახევარმცველი | 13.03.73 | 169/68 |
| 9. | ფილიპო ინძაგი | თავდამსხმელი | 09.08.73 | 181/74 |
| 10. | ალესანდრო დელ პიერო | თავდამსხმელი | 09.11.74 | 173/73 |
| 11. | დანიელ ფონსეკა (ურუგვაი) | თავდამსხმელი | 13.09.69 | 182/74 |
| 16. | ნიკოლა ამორუზო | თავდამსხმელი | 29.08.74 | 186/75 |
| 24. | მარსელო ზალაიეტა (ურუგვაი) | თავდამსხმელი | 05.12.78 | 186/91 |

# დრო არ ითმენს

ნიგერიის ნაკრები შეიძლება კვლავ უმწვრთნელოდ დარჩეს. მას შემდეგ, რაც „სუპერარწივებმა“ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში სამარცხვინოდ წააგეს დანიასთან 1:4, თანამდებობა ცნობილმა სერბმა, ბორა მილუტინოვიჩმა დატოვა. შემდგომ ამისა, ნიგერიის ნაკრების თავკაცის პოსტზე რამდენიმე მწვრთნელმა გამოთქვა პრეტენზია. უმეტესობა ჰოლანდიელი იყო და ფეხბურთის ასოციაციამაც ყურადღება ტიის ლიბრეგტსზე შეაჩერა, კაცზე, რომლის თავკაცობითა ჰოლანდიის ეროვნულმა გუნდმა წარმატებით დაძლია 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და იტალიაში გასამგზავრებელი საგზური მიიღო. ლიბრეგტსთან ნიგერიელები დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, რასაც მისი აფრიკაში გამგზავრება მოჰყვა, როგორც ასოციაციის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, კონტრაქტზე საბოლოოდ ხელმოსაწერად. თუმცა, აღმოჩნდა, რომ საქმე არც ასე იოლადაა — ნიგერიაში ოთხდღიანი ვიზიტის შემდეგ ჰოლანდიელმა პრესის დახმარებით ამცნო საზოგადოებას, რომ ასოციაციასთან შეთანხმებას ვერ მიაღწია: „საინტერესო ვიზიტი გამოდგა, რადგან ნიგერიელთა პოზიციას უფრო კარგად გავეცანი და მათი პირობებიც დაწვრილებით შევისწავლე. მოლაპარაკებების პერიოდში გაირკვა, რომ ისინი ჩემგან ზედმეტს ითხოვენ, ამიტომაც ჯერჯერობით ნაკრების მთავარი მწვრთნელობისგან თავს ვიკავებ. უახლოეს დღეებში ჩემს პირობებს უფრო კარგად ჩამოვაყალიბებ და წარვადგენ. თუ ისინი ჩემს პირობებს მისაღებად ჩათვლიან, მაშინ თვის ბოლოს ნიგერიას გავემგზავრები და სიამოვნებით მოვაწერ ხელს კონტრაქტს“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „სუპერარწივებს“ ხუთი თავკაცი ჰყავდათ და ყველა უცხოელი. მწვრთნელთა ხშირი ცვლა ხელს უშლიდა როგორც მათ მუშაობას, ასევე გუნდის წარმატებულ გამოსვლას, მიუხედავად ოლიმპიური ოქროს მედლებისა. ამის გამო ქვეყნის ფეხბურთის მამებს პრესისა და გულშემატკივრების რისხვა ატყდებოდა თავს. როტერდამში დაბრუნებულმა ლიბრეგტსმა სააგენტო „როიტერის“ წარმომადგენელთან ასე ისაუბრა: „თუ მათ უნდათ წარმატებები და ამაზე სერიოზულად ფიქრობენ, მაშინ ნაკრების დამრიგებლად ერთი მწვრთნელი დიდი ხნით უნდა შეინარჩუნონ. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ შემომთავაზეს საკმაოდ გრძელვადიანი, ოთხწლიანი ხელშეკრულება“.

რა და როგორ იქნება, მალე გაირკვევა. მანამდე კი ნიგერიელებს ერთი პრობლემა აქვთ — ისინი 4 ოქტომბერს აფრიკის თასის შესარჩევი ციკლის გახსნით მატჩში ბურკინა ფასოს ნაკრებს უნდა ესტუმრონ და თუ მანამდე ვერ გაარკვევენ, ვინ წარუძღვება მათ ამ შეხვედრაში, ვაითუ უაგადუგუდან შერცხვენილები დაუბრუნდნენ სამშობლოს.

**დავით ძოწენიძე**

# სუპერლიგისკენ, ნაბიჯით იარ!

ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, უეფამ, სუპერლიგის შექმნისაკენ პირველი ნაბიჯები გადადგა და თეორიული ვარაუდებიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდა. ამის დასტურია შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ: უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი, რამდენიმე კლუბის წარმომადგენლები და ფეხბურთის სხვა სპეციალისტები, აგრეთვე სუპერლიგის შექმნის ერთ-ერთი ავტორის, მილანური ფირმა „მედია პარტნერზის“ ხელმძღვანელობა. აღნიშნულ შეხვედრაზე კონკრეტული თემისა და ფინანსების ირგვლივ საუბარი არ ყოფილა, დამსწრენი უბრალოდ კიდევ ერთხელ არწმუნებდნენ ერთმანეთს ამ პროექტის ხორცშესხმის აუცილებლობაში და ზოგადი მონახაზის გაკეთებასაც ცდილობდნენ. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ პირველ რიგში შესაცვლელია ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა. ეს აზრი ყველამ გაიზიარა და კონკრეტული გეგმაც დაისახა, რომელიც, ალბათ, უახლოეს მომავალში განხორციელდება — ტურნირში მონაწილე კლუბების რაოდენობა 24-დან 32-მდე გაიზრდება და ოთხი ჯგუფის ნაცვლად ექვსი იქნება. ამასთანავე არის კიდევ ერთი იდეა — გაუქმდეს უეფასა და თასთა თასის გათამაშება და შეიქმნას ერთი ლიგა, რომელშიც 36 ევროპული გუნდი გაერთიანდება. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ეს შორეული მომავლის გეგმაა. სხვათა შორის, ამ ვარიანტს ყველაზე აქტიურად „მედია პარტნერზი“ უჭერს მხარს.

ხუთსაათიანი დისკუსიის შემდეგ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე აიგნერმა ასეთი განცხადება გააკეთა: „დღევანდელი შეხვედრა მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მომავალში ამგვარ შეკრებებს გაცილებით მრავალფეროვანი საზოგადოება დაესწრება, მათ შორის სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლები. ჩვენ მოვუსმენთ მათ, გავიგებთ, რა გეგმები აქვთ და საერთოდ, რას ფიქრობენ ამ თემაზე. სწორედ ამგვარ დისკუსიებში იბადება საუკეთესო იდეები. ამიტომაც მე და ჩემი კოლეგები ენერგიას არ დავიშურებთ მომავალში, შეკრებები რაც შეიძლება მსხვილმასშტაბიანი იყოს. ჩვენ სათანადო კომისიის შექმნასაც კი ვაპირებთ, რომელსაც აღნიშნული საკითხის კოორდინირება დაევალება. დღეს გადაწყდა, რომ შემდეგი შეხვედრა 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება ლისაბონში.“

აიგნერის შემდეგ პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პრემიერლიგის წარმომადგენელი პიტერ ლივერი, ვინც სუპერლიგის შექმნას იმთავითვე ემხრობოდა: „ცვლილებები დღევანდელ ფეხბურთში უბრალოდ აუცილებელია, რათა მან სრულყოფილი სახე მიიღოს. აქ მარტო ფულზე არ არის საუბარი, მთავარია, იმ იდეებმა და პერსპექტივებმა, რომლებსაც ჩვენ ვსახავთ, სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო პოპულარული გახადოს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ უეფაც გვერდში გვიდგას და გვპირდება, ხელშეწყობას არ მოგაკლებთო. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ვფიქრობ, ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან იგი მეტად საქმიანი და შრომატევადი გამოდგა.“

ამის შემდგომ პატარ-პატარა განცხადებები კლუბების წარმომადგენლებმაც გააკეთეს. „იუვენტუსის“, „პორტუს“, „ლივერპულის“, „ლიონის“, „აიაქსის“ და „ბაიერნის“ პოზიციები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს — მათ აუცილებლობად მიიჩნიეს ფეხბურთის განვითარებაში გარკვეული კორექტივების შეტანა და აიგნერისა და ლივერის მსგავსად პირველი შეკრება ნაყოფიერად ჩათვალეს. მათი გამოსვლებიდან ყველაზე საინტერესოდ მაინც მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტის, წარსულში გერმანელთა მრისხანე თავდამსხმელის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს ნაუბრევი მიგვაჩნია: „დღეს ჩვენ ზოგადი, მაგრამ ყოვლისმომცველი საუბარი გვქონდა, სადაც ფინანსებზე სიტყვაც არ გვითქვამს, რადგან ეს უკვე მომავლის საქმეა. ფეხბურთი უკანასკნელ ათ წელიწადში ძლიერ შეიცვალა და ბიზნესს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა. დღესდღეობით აქ დიდი ფული ტრიალებს. ერთი მხრივ შეიძლება ეს კარგიც არის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფეხბურთი სპორტის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობაა და იგი ხალხს, ქომაგებს ეკუთვნის. მომავალ შეხვედრებზე ყველაფერ ამას გაცილებით მეტ ყურადღებას დავუთმობთ, ვინაიდან ფეხბურთი არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ფულის კეთების საშუალებად არ უნდა იქცეს. ამას ხალხი არ გვაპატიებს.“

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ამა ქვეყნის ძლიერთ მორიგ შეხვედრებს და გადაწყვეტილებებს ველოდოთ. იმედია, მათი საქმიანობა ფეხბურთს სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს.

**დავით ძოწენიძე**




# წინ, საქართველო!

16 სექტემბერს ფიფასა და „კოკა-კოლას“ მიერ ერთობლივად შედგენილი მორიგი რეიტინგი გამოცხადდა. ევროპის ჩემპიონატისა და საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებით პირველ ათეულში წინა რეიტინგისგან განსხვავებით ეროვნულმა ნაკრებებმა მნიშვნელოვანი გადაადგილებები განიცადეს, ეგაა, მხოლოდ ექვსეული დარჩა უცვლელი. ერთი ადგილით აინაცვლა იტალიამ და მეშვიდეზე დამკვიდრდა. იუგოსლავიას კი ერთით ჩანაცვლებამ მოუწია. ათეულში შევიდა მექსიკაც. იგი წინა რეიტინგში მე-12 იყო, საიდანაც ინგლისი გამოაძევა, რომელმაც შვედეთთან 1:2 წაგების გამო ერთი საფეხურით უკან დაიხია.

საქართველოს ნაკრებმა ოთხი საფეხურით განიცადა პროგრესი და 42-ეზე აღმოჩნდა. მასში შესულია როგორც უკრაინასთან 0:4, ისე ალბანეთთან 1:0. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათგან ყველაზე დიდი ნახტომი შვედეთის ნაკრებმა გააკეთა. მან 6 ადგილით ზევით აინაცვლა და თუ ადრე 31-ეზე იყო, ახლა 25-ეზე დამკვიდრდა. სხვა მხრივ რეიტინგში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ფიფასა და „კოკა-კოლას“ ახალი რეიტინგი ოქტომბერში გამოქვეყნდება.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბრაზილია | 73.66 | 17. | (18) | აშშ | 57.04 |
| 2. | (2) | საფრანგეთი | 69.21 | 18. | (17) | დანია | 55.91 |
| 3. | (3) | გერმანია | 67.75 | 19. | (20) | ეგვიპტე | 55.49 |
| 4. | (4) | ხორვატია | 66.54 | | (21) | კორეა | 55.49 |
| 5. | (5) | არგენტინა | 65.29 | 21. | (22) | იაპონია | 54.57 |
| 6. | (6) | ჩეხეთი | 64.79 | 22. | (25) | პარაგვაი | 54.37 |
| 7. | (8) | იტალია | 64.53 | 23. | (23) | ზამბია | 54.23 |
| 8. | (7) | იუგოსლავია | 64.16 | 24. | (19) | კოლუმბია | 53.92 |
| 9. | (9) | ჰოლანდია | 62.77 | 25. | (31) | შვედეთი | 53.13 |
| 10. | (12) | მექსიკა | 61.89 | 26. | (26) | ტუნისი | 52.96 |
| 11. | (10) | ინგლისი | 61.36 | 27. | (29) | რუსეთი | 52.87 |
| 12. | (15) | ჩილე | 59.49 | 28. | (30) | ბელგია | 52.52 |
| 13. | (13) | რუმინეთი | 59.08 | 29. | (24) | ავსტრია | 52.45 |
| 14. | (14) | ესპანეთი | 58.63 | 30. | (27) | იამაიკა | 52.32 |
| 15. | (16) | მაროკო | 58.60 | — | — | — | — |
| 16. | (11) | ნორვეგია | 58.51 | 42. | (46) | საქართველო | 45.58 |

# ძლიერი, ალალი და სუსტი

როდესაც ჯანლუკა ვიალი, რობერტო დი მატეო, ჯანფრანკო ძოლა, პიერლუიჯი კაზირაგი და ატილიო ლომბარდო ლონდონის რომელიმე რესტორანში სადილად დასხდებიან, საუბარი ბუნებრივად ფეხბურთს ეხება.

ვინაიდან მოსაუბრეთა შორის „ჩელსის“ წევრები უმეტესობას წარმოადგენენ, უფრო ხშირად ლომბარდო უსმენს როგორ არჩევენ სხვადასხვა თემებს ლონდონური კლუბის მოთამაშე მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი და ფეხბურთელები დი მატეო, ძოლა და კაზირაგი.

დიახ, მას ძალიან იოლად შეუძლია „სტემფორდ ბრიჯზე“ გადაბარგდეს, მაგრამ არ სურს, დაუჩემებია „კრისტალ პალასი“ პრემიერლიგას უნდა დავუბრუნო, გასულ სეზონში გავარდნა ძალიან მტკივნეული გამოდგაო.

ლომბარდომ „როიტერის“ კორესპონდენტს უთხრა: „ლაპარაკობდნენ ჩემს „ჩელსიში“ გადასვლაზე. ლუკა და მე მეგობრები ვართ, მასაც სურდა გადავებირებინე, მაგრამ „კრისტალ პალასის“ თავმჯდომარეს ეს ხელს არ აძლევდა და მეც სიამოვნებით დავრჩი. მინდოდა დარჩენა, რადგან თავმჯდომარეს ჩემი სწამს. ჩემი სწამს მწვრთნელს ტერი ვენეიბლზსაც. ვენეიბლზი ჩვენი გუნდისთვის ნამდვილი ფუფუნებაა. იგი ძლიერ გამოცდილი და ცნობილი გახლავთ.“

ლომბარდო ლონდონს მალე შეეჩვია. შეარჩია ბინა ჩელსიში, სადაც მეუღლესთან პაოლასთან და უმცროს ვაჟთან, მატიასთან ერთად დამკვიდრდა. მისი ბინა ვიალის, დი მატეოს და ძოლას ბინების მეზობლადაა. ეს გასაგებიც გახლავთ, ლომბარდო და ვიალი ხომ ჯერ „სამპდორიაში“, მერე კი „იუვენტუსში“ თანაგუნდელები იყვნენ.



ატილიო ლომბარდო სანამ „პალასის“ ქომაგებს არ გაახარებს, ვერ მოისვენებს

მაგრამ „ჩელსის“ იტალიელები წარმატებათა სხივში ბანაობენ. მათ მოიპოვეს თასების თასი, ინგლისის ლიგის თასი და ევროპის სუპერთასი, ლომბარდოს ლონდონური კარიერა კი იცნებათა მსხვრევასთან არის დაკავშირებული.

უამრავი ადამიანი გააოცა ლომბარდომ როდესაც განაცხადა, „ჩელსიში“ არ გადავალ, „კრისტალ პალასში“ დავრჩებიო. გაოცება იქიდან მოდის, რომ 1997 წლის აგვისტოში, ფეხბურთელი ინგლისში რომ ჩავიდა, იგი დიდი ვარსკვლავთა და ზღაპრული ხელფასის მძიებელთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

მაშინ არ იყო, „შეფილდ უენსდეი“ რომ შეაშინა ლომბარდოს მადამ? განა მაშინ არ მოითხოვა იტალიელმა 1,6 მილიონი გირვანქა და პირადი მოსამსახურე?

ახლა ამბობს, ასეთი არაფერი ყოფილაო. მოკლედ, „უენსდეის“ შეეშინდა, „კრისტალ პალასმა“ კი გარისკა და ხელშეკრულება დაუდო სიმელოტით ცნობილ თავდამსხმელს, რომელიც მხსნელად გამოაცხადა.

ის სეზონი სამხრეთ ლონდონელებმა ძლიერად დაიწყეს. ლომბარდომ პირველსავე შეხვედრაში გაუტანა „ევერტონს“, მაგრამ მერე დაღმასვლა დაიწყო. პრობლემამ თავი ნოემბერში იჩინა, როდესაც 32 წლის იტალიელი ორთავა კუნთის ტკივილმა მოედნიდან სკამზე გადაისროლა. იგი მკურნალობდა, მაგრამ დროც გადიოდა, კლუბი კი ამასობაში იძირებოდა და იძირებოდა.

მდგომარეობას „პალასის“ ხელმძღვანელთა შორის ჩამოვარდნილი გაუგებრობაც ამძაფრებდა. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა და მარტში ლომბარდოს მოთამაშე მწვრთნელის როლი ერგო.

მართლაც მძიმე დრო იყო, იტალიელმა ინგლისური ისე არ იცოდა, რომ დანარჩენ ფეხბურთელებთან იოლად დაემყარებინა ურთიერთობა. გამოსავლად ის იპოვეს, რომ ცნობილ შვედ ფორვარდს, თომას ბროლინს ვარჯიშებზე თარჯიმნობა დაევალა.

ძალიან გაუჭირდა „სკუადრა ადურას“ 18 შეხვედრის მონაწილეს, იტალიის 1991 წლის ჩემპიონს „სამპდორიას“ შემადგენლობაში და 90-იანი წლების დიდი „იუვენტუსის“ წევრყოფილს.

სეზონის ბოლოს ლომბარდო მოთამაშე მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა. ეს მოსალოდნელი და ბუნებრივი გახლდათ, მაგრამ მოულოდნელი მისი გუნდში რიგით ჯარისკაცად დარჩენა იყო.

„ბუნებრივია, გასულ სეზონში ლიგიდან გავარდნის გამო პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მე ხომ მწვრთნელი ვიყავი და ახლა მინდა ყველა ღონე ვიხმარო, რათა გუნდი პრემიერლიგაში დაბრუნდეს. ძალიან გამიჭირდა მოთამაშე მწვრთნელის მოვალეობისთვის თავის გართმევა. მგონი, სამწვრთნელო საქმეს ცხოვრებაში აღარ მოვკიდებ ხელს. ვერაფერი გავაწყე გუნდის გადასარჩენად. არ ვიცოდი გასახდელში რა მეთქვა, თანაც ინგლისურში მოვიკოჭლებ. კონტრაქტით ორი წელიწადი დამრჩა და მინდა ეს დრო მხოლოდ და მხოლოდ თამაშს დავუთმო“ — ამბობს ლომბარდო.

ავა „პალასი“ პრემიერლიგაში თუ ვერა, მელოტი იტალიელი კლუბში არასდროს დაავიწყდებათ. მან თანაგუნდელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, მწვრთნელობა გაუძნელდა, მაგრამ მოედანზე ისევ ის ლომბარდო იყო, „იუვენტუსის“ წარმატებებში თავისი ტექნიკით და უნარით დიდი წვლილი რომ შეჰქონდა.

ალბათ, ლომბარდოს ახალ სეზონშიც მოუწევს მძიმე დღეებთან ბრძოლა, მაგრამ მეგობრებთან ერთად სადილობა უეჭველად გამოუკეთებს განწყობას და ჯიბეზე ხელის გაკვრასაც არ დაიშურებს.

**პოლ ქოქსი, როიტერი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ზიმბაბვეს** ფეხბურთის ასოციაციამ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად წარსულში „ლივერპულის“ კარის დარაჯი, სკანდალური ისტორიებით ცნობილი ბრიუს გრობელაარი დაამტკიცა. იგი ადრეც წვრთნიდა ნაკრებს, თანაც ორჯერ, მაგრამ ძალიან პატარა პერიოდებით. ამჯერად გრობელაარი ზიმბაბველებს კოსაფას თასის ფინალური მატჩისთვის მოამზადებს, რომელიც 27 სექტემბერს გაიმართება. მათი მეტოქე ზამბიის ეროვნული გუნდი იქნება. სწორედ ზამბიელებმა იმარჯვეს ბოლოს ამ თასის გათამაშებაში. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში გრობელაარის ქვეშევრდომებს ფრეც აძლევთ ხელს, მაშინ, როცა ზამბიის ნაკრებმა აუცილებლად უნდა იმარჯვოს. ყოფილმა ლივერპულელმა გუნდიდან 7 ისეთი ფეხბურთელი დაითხოვა, რომლებიც სისტემატურად იცავდნენ ნაკრების ღირსებას. მათ შორის კაპიტანი ბენჯამინ კონჯერა, ფრანსის შონჰაი და „ბირმინგემ სიტის“ თავდამსხმელი პეტერ ნდლოვუ. ამის მიზეზი გასულ თვეში ანგოლის ნაკრებთან მოულოდნელი მარცხი 1:2 ყოფილა.

**არგენტინის** ჩემპიონატში ერთი შეხვედრა გაიმართა. აქამდე მესამე ადგილზე მყოფმა „უნიონმა“ აუტსაიდერ „პლატენსეს“ უმასპინძლა და 5:2 მოუგო. შედეგად „უნიონმა“ 2 ქულით გაუსწრო „ველეს სარსფილდს“ და მეორე საფეხურზე აინაცვლა. გათამაშებას კი კვლავ „ბოკა ხუნიორსი“ ლიდერობს, რომელსაც მართალია „უნიონის“ მსგავსად 14 ქულა აქვს, მაგრამ მას ბურთების შეფარდებით სჯობს.

**საფრანგეთისა** და გერმანიის ვეტერანი ფეხბურთელები საქველმოქმედო მატჩის ჩატარებას აპირებენ, რომლის მთელი შემოსავალიც დანიელ ნიველს და მის ოჯახს გადაეცემა. ნიველი ის პოლიციელი გახლავთ, ვინც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიისა და იუგოსლავიის ეროვნული გუნდების შეხვედრის შემდეგ გერმანელმა გულშემატკივრებმა უმოწყალოდ სცემეს. ეს 21 ივნისს ქალაქ ლანსში მოხდა. ამ ინციდენტის შედეგად ნიველი 7 კვირის განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. აღნიშნული მატჩი გერმანიის სასაზღვრო ქალაქ კელში გაიმართება და მასში ისეთი ცნობილი ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას, როგორებიც არიან: ჟან-პიერ პაპენი, მარიუს ტრეზორი, ბაზილ ბოლი, რუდი ფიოლერი, დიტერ მიულერი და მანფრედ კალცი. შეხვედრის ორგანიზატორთა თქმით, ნიველის ფონდში უკვე გადარიცხულია 600 ათასი მარკა (400 ათასი დოლარი), ამავდროულად გაყიდულია მატჩზე დასასწრები 2000-მდე ბილეთი. ვარაუდობენ, რომ სულ 5000 ბილეთი მაინც გაიყიდება, რაც ნიველს და მის ოჯახს კიდევ 100 ათას მარკას შეჰმატებს. შეხვედრა კვირას, 20 სექტემბერს, გაიმართება და მისი პირდაპირი ტრანსლაციის ნახვის საშუალება მსურველებს „ევროსპორტით“ საღამოს 9 საათზე ექნებათ.

**რუსეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ხელი მოაწერა საკმაოდ გრძელვადიან ხელშეკრულებას ფირმა „კოკა-კოლასთან“, რომელიც მომავალში ქვეყნის პირველი ნაკრების ოფიციალური სპონსორი იქნება. აქამდე რუსებს „გაზპრომი“ აფინანსებდა, მაგრამ ევრო 96-ზე წარუმატებელი გამოსვლისა და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრის შემდეგ მან სპონსორობაზე ხელი აიღო. რვაწლიანი კონტრაქტის ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია. „გარდა ასეთი მძლავრი სპონსორისა, დიდი იმედი გვაქვს, რომ რუსეთის მთავრობა, როგორც დაგვპირდა, დახმარებას გაგვიწევს, რაც ჩვენს მიერ შემუშავებული ფეხბურთის განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელებაში ძლიერ დაგვეხმარება“ — აღნიშნა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ბერნდ შუსტერმა განაცხადა, რომ მიუხედავად საშინელი შედეგებისა, იგი წელს ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კიოლნის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. მისი გუნდიდან წასვლის თაობაზე საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც „კიოლნმა“ გერმანიის ჩემპიონატის მეორე ლიგის ბოლო ორ შეხვედრაში ჯერ „ჰანოვერთან“ წააგო სამარცხვინოდ 1:6, ხოლო შემდეგ „ზანქტ პაულისთან“ 1:4 და შედეგად ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთან შეხვედრისას „კიოლნი“ უკვე პირველ ტაიმში აგებდა 1:4-ს. მატჩის შემდეგ შუსტერმა განაცხადა, შესვენებაზე გასახდელში არც შევსულვარ, რადგან ფეხბურთელებისთვის სათქმელი არაფერი მქონდაო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მას მაინც აქვს რაღაცის იმედი: „არსებულ ვითარებაზე უარესს კაცი ვერც კი წარმოიდგენ, მაგრამ უკანდახევის და „კიოლნის“ ღალატის უფლება უბრალოდ არ მაქვს, ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო და, იმედია, შედეგიც არ დააყოვნებს“.

**არგენტინის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ხორხე ბურუჩაგამ აქტიური კარიერის დასრულება და ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. მან 1986 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა — ფინალურ მატჩში გერმანიის ნაკრებთან 2:2-ზე შეხვედრის მიწურულს გადამწყვეტი გოლი გაიტანა. 36 წლის შემტევი ნახევარმცველი ბოლო დროს ბუენოს აირესის „ინდიპენდიენტეში“ თამაშობდა. „უკვე სოლიდურ ასაკში შევედი, ოჯახსაც მეტი ზრუნვა სჭირდება“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ბურუჩაგამ, რომელიც არგენტინაში ერთ-ერთ უსაყვარლეს ფეხბურთელად ითვლება. აღსანიშნავია, რომ გუნდის მწვრთნელს, სახელგანთქმულ ცეზარ ლუის მენოტის ჩემპიონატის სასტარტო ექვს მატჩში ბურუჩაგა აღარ დაუყენებია.

**გერმანული** კლუბის, ბერლინის „ჰერტას“ პრეზიდენტი მანფრედ ცემაიტატი გადადგა. 48 წლის ცემაიტატი „ჰერტას“ დირექტორატში 1994 წლის 2 მარტს მივიდა, როდესაც ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. იმავე წლის 26 სექტემბრიდან კი უკვე პრეზიდენტად მოგვევლინა. ამ პოსტზე მან გარდაცვლილი ჰაინც როლოფი შეცვალა. „ჰერტას“ წინსვლაც აქედან დაიწყო. 1996-97 წლების სეზონში გუნდი პირველ ბუნდესლიგაშიც აღზევდა. მართალია, ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, პირადული მიზეზების გამო გადავდექიო, მაგრამ ისიც გახდა ცნობილი, რომ ცემაიტატს კლუბის თავმჯდომარე რობერტ შვანთან მუდმივი უთანხმოება ჰქონია.

**ინგლისურ „ნიუკასლში“** რუუდ გულიტის მისვლით ჩვენებურმა თემურ ქეცბაიამ თუ იხეირა და ძირითადში ადგილიც მიიღო, იგივე სიტუაციაში ნამდვილად არაა ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი სტეფან გივარში. მისი მდგომარეობა გართულდა, რადგან „ოსერის“ ყოფილი თავდამსხმელი ჰოლანდიელის ნდობით ვერ სარგებლობს. ამის დასტურია „საუთჰემპტონთან“ მატჩიც, რომლის დროსაც საფრანგეთის ბოლო ორი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „გულიტის მოსვლით გუნდის სათამაშო სქემა შეიცვალა. დალგლიშისგან განსხვავებით, მას ორი ცენტრალური თავდამსხმელი არ სჭირდება. ხოლო რადგან შირერის ძირითადში არდაყენებას ხალხი ვერ აიტანს, ამიტომ წაგებული მე დავრჩი. ხუთიდან ერთი შეხვედრის თამაში კი ვერ დამაკმაყოფილებს“ — განაცხადა გივარშმა. ფრანგმა ამის გამო ნაკრებშიც კი დაკარგა თავისი ადგილი, რადგან ახალი მწვრთნელი როჟე ლემერი ემე ჟაკეს პრინციპების მიმდევარი აღმოჩნდა და ისეთ ფეხბურთელს, რომელიც თავის გუნდში ძირითადში ვერ ხვდება, არ ათამაშებს. ამის გამო სტეფან გივარშს „ნიუკასლის“ დატოვება და სხვა გუნდში გადაბარგება განუზრახავს. თუ, რა თქმა უნდა, უახლოეს მომავალში რაიმე თავისთვის სასიკეთო ცვლილებას ვერ შენიშნავს.

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# ვლადიმერ ბარქაია



3

წამით გაირინდება სტადიონი... გულშემატკივარი განაბული ელოდება რაღაც გამოუცნობს, ორიგინალურს, თანაგუნდელებიც მაშინალურად მეტოქის კარისკენ გარბიან, ვერ კი ხვდებიან, რას მოიმოქმედებს მათი მეგობარი და მკვდარ სიჩუმეს მხოლოდ მოწინააღმდეგის მეკარის არაადამიანური შეძახილი კვეთს — დერჟიტე სიომუ...

სიომა, ვლადიმერ ბარქაია... კაცი, რომლის გახსენებაზეც ფიქრიანი ღიმილი ეფინება სახეზე ნებისმიერ გულშემატკივარს — ოო, სიომა? ეშმაკი იყო, საოცრად ეშმაკი.

ფეხბურთი მშვენიერი თამაშია. იგი ზღვა სიხარულს იძლევა. ფეხბურთელები, მით უმეტეს ცნობილი ფეხბურთელები, მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან. მათზე ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს წერენ, თავისებურად აფასებენ. ზოგჯერ კრიტიკულადაც, საათების განმავლობაში შეუძლიათ ამტკიცონ რაიმე მათი ნაკლის თუ ღირსების შესახებ. ალბათ, არც ბარქაიაა გამონაკლისი, მაგრამ მასზე მოსაუბრეს ვინც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად მოეფინება ფიქრიანი ღიმილი — სიომა? ეშმაკი იყო...

მოედანზე „ეშმაკი“ რომ იყო, უნდა აზროვნებდე. ესეც ერთგვარი უპირატესობაა, ერთგვარი ტაქტიკური უპირატესობა, მოაზროვნე ფეხბურთელს განა მხოლოდ დროული პასი ანაც ლამაზი ფინტების თავის დროზე ჩვენება ევალება, მან თამაშიც უნდა მართოს, ზოგჯერ უბურთოდ უნდა შეძლოს დააბნიოს, მოატყუოს, გატეხოს მოწინააღმდეგე და ეს არასდროს უნდა „გადაეზარდოს“ იაფფასიან არტისტობაში, სიმულაციაში, თუ ასე მოხდა, „ეშმაკი“ ფეხბურთელი ნაცვლად ტაშისა და სიყვარულისა, სტვენას და დაცინვას მოიმკის.

ვლადიმერ ბარქაიას შეეძლო უბურთოდაც, ცალკეულ ეპიზოდებშიც მოეგო მატჩი. თანაც ისე, რომ ამას ვერავინ ხედავდა მისი უშუალო მოწინააღმდეგის გარდა — ვერც მსაჯი, ვერც თანაგუნდელი, ვერც გულშემატკივარი. ეტყოდა თავის სათქმელს მეტოქე მცველს, გაუკეთებდა გასაკეთებელს და თითქოს არაფერიაო, უცოდველად, ალალად შესცქეროდა ყველას. წაახდენდა მეტოქეს და აქაოდა არაფერი მომხდარაო, ძველებურად, მისებურად, ჯადოქრულად დაიურვებდა ბურთს. ამადაც უყვარდა ხალხს სიომა ბარქაია.

სიომამ ბურთი პირველად მშობლიურ გაგრაში გააგორა. ოღონდ როდის, ამას ვერასდროს გეტყოდათ. ბურთის თამაში ბარქაიამ დაიწყო მაშინ, როცა აიდგა ფეხი, ისწავლა ცურვა და ლაპარაკი. დიახ, მაშინ ასეთი დრო იყო, ფეხბურთს ქუჩაში სწავლობდნენ და გვარიანადაც სწავლობდნენ ქართველი „მალანდროები“. სიომაც „ქართველი მალანდრო“ იყო.

ბარქაია ფიზიკურად სუსტი ფეხბურთელების კატეგორიას განეკუთვნებოდა. მას არ შეეძლო ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში განუწყვეტელი სირბილი, ვერც მხრით თუ ჯანით დაჩაგრავდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მას ტექნიკა გააჩნდა, ბურთის ჯადოქრული ფლობა ძალუძდა და ამითაც იოლას გადიოდა „ტანკებთან“ ჭიდილში. სავალალო ის იყო, მაშინაც „მორბენალი მანქანები“ რომ ერჩიათ ტექნიკური მანერის ფეხბურთელებს. მართალია, ვერ ირბენდა სხვებივით სიომა ოთხმოცდაათ წუთს, მაგრამ თავის საკეთებელს იმ ტაიმნახევარშიც აკეთებდა, სათქმელსაც ამბობდა და გულშემატკივარსაც არაერთხელ გამოსტყუებდა ტაშს.

ალბათ, ამ ფიზიკური სისუსტის გამო თუ იყო, ორად ორი თამაში რომ ითამაშა სიომამ სსრკ ნაკრებში, ორი გოლიც გაიტანა და... ამით მორჩა ყველაფერი. ამით დასრულდა მისი კარიერა ქვეყნის პირველ გუნდში.

„საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მოხვედრა ყოველი ფეხბურთელის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა. დიდი იყო ჩემი

# სიომა

სიხარულიც, როცა ნაკრების ხელმძღვანელობამ 1965 წელს გუნდში მიმიწვია. სხვათა შორის, ნაკრებში ორი მატჩი ვითამაშე — დანიასთან და ბრაზილიასთან. დებიუტი უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე მომდევნო თამაში ფეხბურთის ჯადოქრებთან. დანიელებთან თამაშის დროს პირველ ტაიმში ისე შებორკილი ვიყავი, როგორც ჩემი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში. თუმცა დანიელები არ იყვნენ რთული მეტოქეები, იგრძნობოდა, რომ ეს მაინც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გახლდათ და ამიტომ დასაწყისში აღელვება მეპატიებოდა. მეორე ტაიმში თავისუფლად დავიწყე თამაში და ორი გოლიც გავიტანე“.

ეს შებორკვა, ფსიქოლოგიური სისუსტე ყოველთვის ახლდა ვლადიმერ ბარქაიას საფეხბურთო კარიერას, ასე იყო აფხაზეთში, როცა თოთხმეტი წლის ბარქაიამ პირველად ითამაშა გაგრის ნაკრებში. ასე იყო თბილისის „დინამოშიც“, როცა სიომას ვარჯიში და თამაში მისთვის ყველაზე სათაყვანებელ ბასასთან უხდებოდა და სსრკ ნაკრებში დებიუტისასაც ასე იყო.

ფეხბურთს უყვარს დრამა, ურთულესი კოლიზიები. ფეხბურთელი, რაოდენ ბევრიც უნდა ენახოს და განეცადოს, ვერასოდეს შეიძენს ეგრეთ წოდებულ იმუნიტეტს მარცხის მიმართ. სიომაც ასეთი იყო, მას არასდროს შეეძლო შეგუებოდა წაგებას, იგი გამარჯვებული გახლდათ ბუნებით და იყო მის კარიერაში სამი-ოთხი შეხვედრა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სულიერად საშინლად რომ გამოფიტა ფეხბურთელი, ერთმა მათგანმა კი საერთოდაც ჩააქნევინა ხელი ფეხბურთზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ მატჩების დაკონკრეტება — პირველი იმედგაცრუება თექვსმეტი წლისამ იგემა ბარქაიამ, როცა გაგრის ნაკრებმა პირველ ლიგაში გადასასვლელი შეხვედრა წააგო ლანჩხუთის გუნდთან. მეორედ 1960 წელს გაწბილდა ბარქაია, როცა მოსკოვში „ლუჟნიკის“ სტადიონზე წააგო თბილისის „დინამომ“ ლამის მოგებული სათასო შეხვედრა მოსკოველ „ტორპედოელებთან“. მესამე კი... მესამე ბრაზილიელ ჯადოქრებთან თამაში იყო — მეორე და უკანასკნელი სანაკრებო თამაში ვლადიმერ ბარქაიას კარიერაში. არ ვიცით, რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ ხმა გავრცელდა, თითქოს ამ მატჩის შემდეგ ეთქვას დანანებით სიომას — მე მეგონა, ფეხბურთს ვთამაშობდიო.

„ბრაზილიელებთან მატჩის წინ მშვენივრად ვგრძნობდი თავს. არ მეგონა, თუ ეს გუნდი მართლა ისე ძლიერი იყო, როგორ რეკლამასაც უწევდნენ. არც პელე მეგონა ასეთი ძალის მოთამაშე... მე არ გიამბობთ მატჩის პერიპეტიებს, რაც უჩემოდაც კარგად იცით. მთავარი ისაა, პელე ნამდვილად იმსახურებდა ყოველნაირ კომპლიმენტს. ამას ვამბობ უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებების მიხედვით. რაც უნდა იყოს, ფეხბურთელი მინდორზე უკეთ გრძნობს წმინდა საფეხბურთო ნიუანსებს, ვიდრე ტრიბუნაზე მჯდომი მაყურებელი. დამამახსოვრდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც: პელე ხანდახან რაღაცას გაჰყვიროდა პარტნიორების გასაგონად. ხორხიდან საყვირის მსგავსი ხმა ამოსდიოდა. ეს ისეთი მძლავრი შეძახილი იყო, ისეთი... ბრაზილიელებთან მატჩზე მეტს არაფერს ვიტყვი, ისე კი დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე გერსონმა და ორლანდომაც“.

მე მეგონა, ფეხბურთს ვთამაშობდიო... თქვა სიომამ და ცოტა ხანში დატოვა კიდეც მწვანე მინდორი.

„ვგრძნობდი, რომ თამაში კიდევ შემეძლო, მაგრამ წინანდელი ხალისი, წინანდელი ენთუზიაზმი და მონდომება აღარ მქონდა. ერთიცაა — ყველა სპორტსმენმა, ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, როდის წავიდეს სარბიელიდან“.



სარბიელის არქივიდან

სიომა ბარქაია და სამი მოტყუებული. ამ ფოტოს ადრე „ბარქაიას პლაჟსაც“ უწოდებდნენ

და წავიდა სიომა ბარქაია ფეხბურთიდან, წავიდა ძალიან ადრე, წავიდა ოცდარვა წლის ასაკში. მას ჯერაც შეეძლო, მეტიც შეეძლო მაგრამ თქვა და არ გადათქვა და ესეც ხომ ვაჟკაცობაა — თქმა და არგადათქმა.

საერთოდ, გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელებს ახასიათებთ ასეთი რამ — ისინი იმ დროს მიდიოდნენ ფეხბურთიდან, ჯერაც რომ შეეძლოთ ბურთის თამაში და არანაკლებ ძლიერადაც, ვიდრე ადრე, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. ასე წავიდა ასათიანი, ასე წავიდა ბარქაია, ასე წავიდნენ ყიფიანი, კოსტავა, შენგელია და სხვანი მრავალნი. ეტყობა, ესეც ქართული ფსიქიკის ერთ-ერთი თავისებურებაა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ რაჩან ფეხბურთელები თვლიდნენ, რომ „დინამოში“ უკვე ამოწურეს თავიანთი ფუნქცია და შესაძლებლობანი, ბუცებს ლურსმანზე კიდებენ და მიდიოდნენ. კი იყო ტრავმები, იყო კონფლიქტებიც, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ხალისის, ენთუზიაზმის, მონდომების დაკარგვა იყო — როგორც სიომამ აღნიშნა, ფეხბურთიდან წასვლის მერე.

ხალისი, მონდომება, ენთუზიაზმი კი სიახლემ, ახალმა, განსხვავებულმა მიზნებმა და სიმაღლეებმა უნდა დაუბრუნოს ფეხბურთელს. იმ დროისთვის ერთი რამელა იყო განსხვავებული — სსრკ ნაკრები და მასშიც სხვები — უფრო „მორბენალები და ტანკები“ გამოდიოდნენ.

ჰოდა, ბარქაიამაც ორი მატჩილა ითამაშა სსრკ ნაკრებში, ორი გოლი გაიტანა და... ამით დამთავრდა ყველაფერი.

მერე კი — მეგონა ფეხბურთს ვთამაშობდიო — თქვა. ეს თქვა და მიატოვა ფეხბურთის თამაში. მიატოვა ოცდარვა წლის ასაკში — მაშინ, როცა ბევრი იწყებს „ნამდვილ თამაშს“.

მან კი თქვა და არ გადათქვა.

თუმცა, ესეც ხომ ვაჟკაცობაა - თქმა და არგადათქმა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

**31. ვალერიან გოჩიაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**32. თემურ რუხაძე.** თბილისი. ინჟინერი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**33. თემო იორდანიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**34. ავთანდილ გურული.** თბილისი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**35. ირაკლი ბადრიძე.** თბილისი. ინჟინერი. 61 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, თამაზ კოსტავა, ნიაზ ძიაპშპა, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**36. დავით ჩუბინიძე.** თბილისი. ინჟინერი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე მეტრეველი, მიხეილ მესხი

**37. ზურაბ ქაჩანაძე.** თბილისი. რაგბის მსაჯი და ბავშვთა მწვრთნელი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სერგო კოტრიკაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. შოთა იამანიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**38. ვეფხვია ტოკლიკიშვილი.** რუსთავი. სპორტის აკადემიის სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მურთაზ ხურცილავა
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**39. დავით სიმონიშვილი.** ოზურგეთი. სტუდენტი. 17 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. დავით ყიფიანი, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი

**40. თეიმურაზ ვაჟა.** ფოთი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ ელოშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**41. ვახტანგ ვაჟა.** ფოთი. ინჟინერ-ტექნოლოგი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**42. ირაკლი კვირიკაძე.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი , 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ვიტალი დარასელია, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**43. კოტე რამიშვილი.** თბილისი. ინჟინერ-ეკონომისტი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. რამაზ შენგელია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ქინქლაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**44. ჯიმშერ შარვაძე.** ქუთაისი. მშენებელ-ტექნიკოსი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

**45. ლევან კვირიკაძე.** თბილისი. სწავლული ეკონომისტი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**46. თემურ მანჯგალაძე.** თბილისი. ეკონომისტი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**47. ზამირ ჯოჯუა.** 33 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**48. პეტრე ხიროვი.** გორი. აგრონომი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ალექსანდრე კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, შოთა შავგულიძე, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, ილია დათუნაშვილი, მიხეილ მესხი

**49. ზურაბ კაპოშვილი.** თბილისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2.მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5.გიორგი ქინქლაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**50. დაზმირ ჯოჯუა.** ისტორიკოსი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5.ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**51. გიორგი აბაშიძე.** თბილისი. იურისტი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩილინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**52. ტარიელ ოსაძე.** ზესტაფონი. უმუშევარი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**53. ბადურ ჩხაიძე.** თბილისი. ინჟინერი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**54. მამუკა ფურცხვანიძე.** ქუთაისი. ეკონომისტი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3.ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**55. გივი ხაზარაძე.** თბილისი. ინჟინერი. 55 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3.სლავა მეტრეველი, 4.მურთაზ ხურცილავა, 5.დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**56. ნუკრი გეგეშიძე.** ფოთი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. თემურ ქეცბაია, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**57. გიორგი შარაშიძე.** თბილისი. მოსწავლე. 11 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**58. ბაქარ რამიშვილი.** თბილისი. მედიკოსი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2.ანდრო ჟორდანია, 3.ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ვიტალი დარასელია, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი

**59. მამუკა მაჭარაშვილი.** ხაშური. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**60. გიორგი მაჭარაშვილი.** ხაშური. ფეხბურთელი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი - - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - - -

# ესე ამბავი სპარსული...

## დიდი მოჭიდავე ხალხის მსახურია

...და გასრულდა თეირანში თავისუფლად მოჭიდავეთა მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატი. სწორედაც დროა, აქედან, მართალია განაპირა, მაგრამ მაინც ევროპიდან ცალი თვალით გადავიხედოთ ირანში.

...ძნელია ირანელობა, აქედან ასე ჩანს. ღვინო — არა, ქალები — თითქმის არა, დუდუკი — შეზღუდულად და ისიც მაშინ, როცა რჯულის საკითხებს არა ვნებს. ასევე კინოც. რა ბარი, რის კაზინო! ეგეთებისკენ მიდრეკილებას შეგამჩნევენ და როზგიც ზედა გაქვს.

...ძნელია ირანელ მოჭიდავედ ყოფნა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნის მოჭიდავედ ყოფნა. ყველაფერ ზემოჩამოთვლილს დამატებული რეჟიმი, ილაჯგამომცლელი ვარჯიშები, შეკრება-შეჯიბრებებზე გაუთავებელი წანწალი. უმრავლესობისთვის — გატეხილი ყურები და მარცხის სიმწარე, რჩეულთათვის — ისევ გატეხილი ყურები და გამარჯვების სიხარული.

...ძალიან ძნელია დიდ ირანელ მოჭიდავედ ყოფნა. რაც ზემოთ ითქვა, იმას ემატება საყოველთაო-სახალხო სიყვარული, რაც, ამ ქვეყანაში, სიამოვნების გარდა ძალიან დიდი ტვირთია, იმდენად დიდი, რომ წელში შეიძლება გაგწყვიტოს. ირანში ჭიდაობა მარტო ჭიდაობა არ არის. ის მეტია და მის მწვერვალზე ყოფნა ლამის ზეცაზე ყოფნის ტოლფასია. შენს უკან კი ლეგენდები დგანან და შენც, იქნება ვერ გრძნობ, მაგრამ თავადაც ლეგენდა ხარ. ჰოდა, ყველაფერი ლეგენდარული უნდა გქონდეს, მათ შორის საქციელიც.

საყოველთაო-სახალხო სიყვარული კი იმისთანა რამეს ჩაგადენინებს, რაც არ გსურს, მაგრამ სხვაგვარადაც არ ძალგიძს. ისე დიდი ირანელი მოჭიდავე ვერ იქნები.

რასულ ხადემი დიახაც დიდი, ლეგენდარული ირანელი მოჭიდავეა. მერე რა, რომ სულ 28 წლისაა და დღესაც ხალიჩაზე დგას. ისტორიული ხორასნის მთავარ-ქალაქ მეშხედში დაბადებულ ბიჭს ალაჰმა უდიდესი ნიჭი უბოძა და თან, საყოველთაო-სახალხო სიყვარულის მძიმე ტვირთის ლამის მარადიულად ზიდვაც დააკისრა.

...და იზრდებოდა რასული მეშხედში თავისზე ერთი წლით უფროს ძმა ამირ-რეზასთან ერთად. მამა ფრიად დაფასებული კაცი ჰყავდათ: სეიედ-მოჰამად ხადემი კარგი მოჭიდავე გახლდათ, მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ხოლო სახლში თუ შვილებს ზრდიდა, ხალიჩაზე მოჭიდავეებს უზრდიდა ირანს.

ძმებიც, ცხადია, მოჭიდავეები დადგნენ, ოღონდ რასული იმთავითვე უფრო ძლიერი. არა, ამირ-რეზა სულაც არ ყოფილა სუსტი: 1991 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი




ხადემთა კლანი: რასული, სეიეთ-მოჰამად-აღა და ამირ-რეზა. ამათ ირანისთვის ბევრი გააკეთეს

მოიგო, 1992 წელს კი ბარსელონის ოლიმპიადაზე მესამე იყო. ყველაფერი ეს 74 კილოგრამამდე წონაში მოეხერხებინა. სად იყო რასული? მასაც 74 კგ-ში მიუწევდა გული, მაგრამ უფროს ძმას გზას ვერ გადაუღობავდა.

ეს ამბავი ბარსელონამდე გაგრძელდა. აქ კი რასულმა მიაფურთხა შაითანს და 82 კგ-ში დამკვიდრდა. ბარსელონაში მანაც ბრინჯაო მოიპოვა. სიხარულით ფრინავდა სეიეთ-მოჰამად-აღა: ორმა შვილმა ოჯახში ორი ოლიმპიური მედალი შემოიტანა.

დაიწყო ახალი ოლიმპიური ციკლი. რასულს მსოფლიოს დაპყრობის დრო დაუდგა და... ამირ-რეზამ თქვა, 74-ში ველარ ვიკლებ და 82-ში უნდა გადავიდეო. რაღა ექნა რასულს? უფროსი ძმის სიტყვას აღმოსავლეთში ხომ კანონზე მეტი ძალა აქვს. და გადავიდა რასული 90 კგ-ში.

აქ კი დაიწყო ფანტასტიკური სამწლეული. რასულს ვერაფერი აჩერებდა. ბრწყინვალე გამარჯვებები მსოფლიოს 1994 და 1995 წლების ჩემპიონატებში და რა მეტოქეებთან: მახარბეკ ხადარცევთან, მელვინ დუგლასთან, ელდარ კურტანიძესთან... ამ დროს 74 კგ-ში ბრწყინდება ჩეჩენი ბუვაისა საიტიევის ვარსკვლავი. სპეციალისტები იწყებენ ამ ორი ფალავნის შედარებას, რათა ჭიდაობის მონარქი გამოავლინონ. ფაქტია, საიტიევს თანასწორი კონკურენტი არა ჰყავს. ხადემს კი ზემონახსენებ მოჭიდავეებთან უწევს გამარჯვებების მოპოვება. ამას ემატება 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავედ დასახელება. მაგრამ ირანს ეს არ ჰყოფნის, ირანს დიდი მოჭიდავეები ჰყოლია, ირანს ოლიმპიური ოქრო უნდა.

და, აგერ, ატლანტაც. ქალაქი ირანის მტერ ამერიკაში, სადაც ხადემმა თავისი ვაჟკაცობა უნდა გაიმეოროს, რადგან წინა წელს აქ იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონობა. არასპეციალისტები გაოცებულნი არიან, ამ ტიკჭორამ რა უნდა მოიგოსო. მართლაც, რასული ბულკზე და პონჩიკზე გაზრდილ დედიკოს ბიჭს ჰგავს, პატარა ღიპიც დაუდია, სათვალე უკეთია, სულ გაღიმებული დააბიჯებს და სალამსაც ვერავინ ასწრებს. ასეთივე შედის ხალიჩაზეც, ოღონდ იქ იმისთანა რამეებს აკეთებს, რომ მისი ოპონენტები გაკვირვებისგან იმხელა პირებს აღებენ, ბულკი კი არა, ფლავით სავსე სინი ჩაეტევათ შიგ. რაღა გავაგრძელოთ და, ხადემი ოლიმპიადას ბრწყინვალედ იგებს. სამშობლოშიც გმირად, მეტიც, ირანის ძლიერების სიმბოლოდ ბრუნდება.

განა ირანს არ ჰყოლია ოლიმპიური ჩემპიონები. ჰყოლია და მერე როგორი: გოლამრეზა ტახტი, იმამალი ჰაბიბი, აბდოლა მოვაჰედი. ესენი იმ პირველი „ირანული ტალღის" მოჭიდავეები იყვნენ, რომელმაც სამყარო შეაზანზარა და 20 წელიწადს აზანზარებდა. მაშინ ირანიც მოწინავე ქვეყანა იყო... მაგრამ 1962 წელს მოვაჰედმა დაასრულა ეპოქა დიდი და მას შემდეგ ირანს ოლიმპიური ოქრო აღარაფერში ღირსებია. მერე მოვარდა იმამი აიათოლა და ირანი მთელს მსოფლიოს გადაჰკიდა. ასეთ დროს გამოჩნდა კაცი, ვინც ირანს ოლიმპიური ოქრო, ხოლო ირანი ოლიმპიურ ელიტას დაუბრუნა და მსოფლიო საზოგადოებასთან დასაახლოვებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადაადგმევინა. მერე იტყვიან, სპორტი და პოლიტიკა რა შუაშია ერთმანეთთანო. შუაშიცაა და მეტიც: რასულ ხადემმა გააკეთა ის, რაც ვერ შეძლეს ვერა პრეზიდენტებმა, იმამებმა, მოლებმა თუ სახელმწიფო მდივნებმა — მტერი ამერიკელები ირანის დროშა-ჰიმნზე ფეხზე წამოაყენა და ტაშისკვრით ხელისგულები გადაატყავებინა. ჰო, ამირ-რეზაც არ დავივიწყოთ: 82 კგ-ში იგი მესამე იყო და თქვა, სპორტიდან მივდივარო. სიტყვა შეასრულა. დღეს ამირ-რეზა ხადემ ირანის ნაკრების მწვრთნელია და სათვალემომარჯვებული თეირანის მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდა პროფესორის იერითა და მიხვრა-მოხვრით დააბიჯებდა.

...და აქ დროულია სცენაზე გამოვიყვანოთ კიდევ ერთი შესანიშნავი ირანელი მოჭიდავე, ახოვანი და ბრგე, სპარსული ზღაპრების პერსონაჟი-ფეჰლევანების ორეული აბას ჯადიდი. ამ კაცმა 1993 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლი ირგუნა, მანამდე კი, თურმე, დოპინგს გათამაშებია და ამისთვის მედალიც ჩამოართვეს და დისკვალიფიკაციაც მისცეს. ჯადიდიმ „სროკი" პატიოსნად მოიხადა და 1995 წელს ატლანტაში, მისთვის დაწყევლილ და ღვთის პირიდან აღსაგველ ქალაქში ჩავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 100 კგ-ის ნახევარფინალში ამერიკელ კურტ ენგლს ფრედ ეჭიდავა და მსაჯებმა გამარჯვება ამერიკელს მიაკუთვნეს, სპარსი ბრინჯაოს დააჯერეს. ერთი წლის შემდეგ ჯადიდი იმავე ენგლს ოლიმპიადის ფინალში შეხვდა. აქაც ფრე, ოღონდ აბასს რამდენიმე ქულა აშკარად არ ჩაუთვალეს და ჩემპიონობაც უნამუსოდ წაართვეს. მთელი მსოფლიო მოიარა ტელეკადრებმა: სასოწარკვეთილი ჯადიდი მსაჯს ამერიკელის ხელის მაღლა აწევას არ ანებებს, მერე მუხლებზე ვარდება და სიმწრისგან აქეთ-იქეთ უიმედოდ იყურება.

სად ხადემი, სად ჯადიდი, მაგრამ მოვიდა 1997 წელი და ჭიდაობის გამგებლებმა ახალი წონები შემოიღეს. გაუქმდა 90 და 100, სანაცვლოდ შემოვიდა 97 კგ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ირანის ნაკრებში მოხვედრაზე ამ წონაში ეს ორი ფალავანი უნდა დაპირისპირებულიყო.

...და აქ თქვა რასულმა სიტყვები, რომელიც მაგალითად უნდა იქცეს კონკურენტი სპორტსმენებისთვის. ეს სიტყვებია მაგალითი სამართლიანობის, კოლეგიალობისა და თანაგუნდელის პატივისცემის: მე ყველაფერი მოვიგე, აბასმა — არაფერი. დროა, მან მიაღწიოს დიდ გამარჯვებებს. მე კი სპორტიდან წავალო. ჭიდაობის ტახტრევანზე მყოფმა ხადემმა ადგილი დაუთმო ჯადიდის. დათმობა დათმობად, მაგრამ განა ასე მარტივია ირანში მოჭიდავედ ყოფნა? ხადემს არსად არ გავუშვებთო — იხუვლა ხალხმა. რასულიც გადაავჯდა ხორასნულ ჯორს და ნათქვამს არ გადავიდა. ისე მოხდა, რომ მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონატი ორივემ გამოტოვა. მაგრამ ახლოვდებოდა მომდევნო ჩემპიონატი, რომლისთვისაც ირანს უნდა ემასპინძლა.

ზემოთნახსენებ საყოველთაო-სახალხო სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია. ზოგჯერ — უკეთურიც. აი, გოლამრეზა ტახტი... არაფრის თქმა აღარაა საჭირო. ამ სიყვარულმა ალაჰს ვერა, მაგრამ შაჰს გაუტოლა, შაჰზე პოპულარული გახადა. ერთხელაც საჭიდაო დარბაზში ერთდროულად შესულ შაჰს და ტახტის ხალხი წამოუდგა და... ოვაცია ტახტის მოუწყო. ამბობენ, შაჰმა ეს ვერ აიტანა და ტახტი მოაკვლევინაო. ეჰ, რას გაიგებ, აღმოსავლური ზნე რთული რამაა.

რასულ ხადემს, ალაჰის წყალობით, ის ხვედრი არ ელოდა, მაგრამ საყოველთაო-სახალხო სიყვარულს ვერსად გაექცა, პირიქით, დაემონა და ურთულესი გადაწყვეტილება მიიღო — მძიმე წონაში იჭიდავა, რითაც თავისი კარიერა ერთგვარი საფრთხის წინაშეც დააყენა. აქვე ვთქვათ, რომ 97 კგ-ში მსოფლიოს ჩემპიონი აბას ჯადიდი გახდა.

...ხადემი ზედიზედ იგებდა შეხვედრებს. ფინალშიც გავიდა და მედალგანაღდებული ვადამდე ხელმეორედ შეირაცხა გმირად. ხალხს ხადემი სურდა და მიიღო კიდეც. მძიმე წონის ოქრო ხელის ერთ გაწვდენაზე იყო, მას მხოლოდ კუბელი ალექსის როდრიგესი ეფარებოდა და როგორც გაირკვა, საბოლოოდ გადაეფარა კიდეც.

...რასული დამარცხდა. ვერცხლი მიიღო. დამარცხდა იმიტომ, რომ ჭიდაობის მკაცრი კანონის წინაშე მისებრი ვაჟკაცებიც მორჩილნი არიან. ჭიდაობა ვერ აიტანდა იმას, რომ მძიმე წონის გვირგვინი დაედგა კაცს, რომელმაც საერთაშორისო კარიერა ექვსიოდ წლის წინ 82 კგ-ში დაიწყო, ასეთი რამ არ ყოფილა. თვით დიდ ლევან თედიაშვილს არ მიეცა მძიმე წონაში გამოსვლის საშუალება, თუმცაღა 71 კგ-დან დაწყებული და აქამდე ყველაფერი მოგებული ჰქონდა. ჭიდაობის სამეფოში ერთი მეფეა — თავად ჭიდაობა. სწორედ მან არ მოისურვა საკუთრი თავის დამარცხება და იმ საღამოს ხადემს როდრიგესი გაუგზავნა მეტოქედ. აგერ ვნახავთ, როდრიგესი კიდევ თუ მოიგებს რამეს. რასულიც (თუ შეხვდა) მოუგებს მას, მაგრამ იმ დღეს ბედმა კუბელი ხადემის შემჩერებლად ამოირჩია. ვიღაცას ხომ უნდა შეეჩერებინა იგი?

რასული კი ვალმოხდილია, მას შეუძლია მშვიდად წავიდეს. რასულმა ბოლომდე პირნათლად ზიდა საყოველთაო-სახალხო სიყვარულის მძიმე ტვირთი. იგი უკვე ლეგენდაა. სხვაგან, სადაც მისნაირები არ არიან, მისნაირებს იგონებენ ხოლმე. იქ კი, ირანში, ასეთი კაცი არსებობს. ირანი ბედნიერია.

ისე, არ გაგიკვირდეთ, რომ რასული სიდნეის მძიმეწონოსანთა ტურნირშიც იხილოთ. ხალხს გმირები, ისტორიის შემქმნელები სჭირდება. ასეთ კაცად კი იმას შეიგულებენ, ვისაც საყოველთაო-სახალხო სიყვარულის ზიდვა შეუძლია. როგორც ვხედავთ, რასულ ხადემი ის კაცია, ვინც ერთხელ უკვე გააკეთა ეს. ასე რომ, ხალხს ხადემი სჭირდება.

**გიორგი ჭანიშვილი**



საქართველოს მთამსვლელთა მეორე ჰიმალაური ექსპედიციის წევრებზე ბოლო ცნობა ის იყო, რომელიც კატმანდუდან მანასლუს მისადგომებისკენ მათ გადაფრენას შეეხებოდა, რის თაობაზეც თავის დროზე ვრცლად გიამბეთ. ექსპედიციამ მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე ბოლო სოფელი სამა გაიარა, დაახლოებით 7 საათის ქვეითი ლაშქრობის მერე 4900 მეტრის სიმაღლეზე აალწია და იქ საბაზო ბანაკი დასცა. მისი მოწყობის მერე პირველი საიერიშო ბანაკის გამართვა უამინდობის გამო კარგა ხანს შეფერხდა, კვირას, 13 სექტემბერს კი ამ საქმესაც დაადგა საშველი. მთამსვლელებმა ეს ბანაკი, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, 5900 მეტრის სიმაღლეზე დადგეს. იქ სააკლიმატიზაციოდ ერთი ღამეც გაათენეს და საბაზოში დაეშვნენ.

# ქვა-კეტით არავინ მოგვდევს



დიდი ჰიმალაის ხედი პატარა ჰიმალაიდან

ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ჩვენი მთამსვლელები შესაძლოა უფრო ზემოთაც არიან და მეორე საიერიშო ბანაკს აწყობენ. ამ საქმეს რომ მორჩებიან, იმ სიმაღლეზე სააკლიმატიზაციოდ კიდევ ერთ ღამეს გაათენებენ, ისევ საბაზოში დაეშვებიან, დაისვენებენ და მერე მოაწყობენ ბოლო, მესამე ბანაკს, საიდანაც უკვე მწვერვალზე ასვლას ეცდებიან.

რაკი ამ ექსპედიციასთან დაკავშირებით უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად მთამსვლელებს თავიანთ მარშრუტზე წერილებს მივადევნებთ, „ჩვეულებას" არც ახლა ვუღალატებთ და ზოგიერთ საინტერესო ამბავზე მოგითხრობთ.

1954 წელს, როცა იაპონელთა 13-კაციანი ექსპედიცია კიდევ ერთხელ ავიდა სამაში, რათა იქიდან მანასლეს ფერდობებისკენ ასულიყო და მწვერვალზე პირველასვლა ეცადა, სოფლის მკვიდრნი „ამომავალი მზის" ქვეყნის შვილებს კეტებით, ქვებით და ყაყანით დაედევნენ. იაპონელებმა თავს გაქცევით უშველეს. თურმე გასულ წელს მანასლუზე იაპონელთა წარუმატებელი ექსპედიციის მერე სამას მკვიდრთ დიდი უბედურება დატყდომიათ თავს. მწვერვალის ფერდობებიდან უზარმაზარი ზვავი ჩამოწოლილა, სამი საუკუნის ტაძარი დაუნგრევია, მერე გვალვებიც დაწყებულა. მოუსავლიანობასაც მეტად შეუწუხებია ხალხი. ყვავილის ეპიდემიაც გამძვინვარებულა და ბევრი სოფლელი გარდაცვლილა. გარდაცვლილა ღვთის სამი მსახურიც.

სამაელებმა ეს ყველაფერი მიაწერეს თავიანთ ღმერთ კანბუნგეს განრისხებას, რაც იაპონელ მთამსვლელთა მიერ მანასლუს შებილწვამ განაპირობაო.

ჰოდა, რაღა გასაკვირი იყო, რომ ადგილობრივნი იაპონელებს ჩასაქოლად თუ არა, კარგა გვარიანად მისაბეგვად დაედევნენ. დედიმისის შვილები იყვნენ და ნუ გაიქცეოდნენ იაპონელები. იქ ცამეტ გადამთიელს ალბათ, ამის ნახევარიც ისე დაალილავებდა, როგორც თქვენგან მოწონებული. სამა ხომ გორკხთა სათავადოს ტერიტორიის ნაწილია, გორკხებს კი მეომარ ხალხად დაგდებული სახელი აქვთ.

ნეპალელები ამაყობენ, რომ მათი ქვეყანა არასოდეს ყოფილა ინგლისის კოლონია. დიდი ბრიტანეთის ჯარისკაცები თავის დროზე ბევრს ეცადნენ, რომ ნეპალი დაემორჩილებინათ ისევე, როგორც ინდოეთი, მაგრამ ვერას გახდნენ. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორკხებმა, რომლებსაც ისედაც უებრო მეომართა სახელი ჰქონდათ დაგდებული.

ნეპალელი ისტორიკოსი სატიმ კუმარი გორკხების შესახებ წერს: „გორკხების ჯარი შედგებოდა იმ ადამიანებისგან, რომელთათვის სამხედრო საქმე მთავარი პროფესია იყო. ჯარისკაცების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდამ თადარიგში ჰყავდათ. მათთვის ჯარში გაწვევა, სამსახურში დაწინაურება და ხელფასის გადახდა შეიძლებოდა მხოლოდ საომარი მოქმედებებისას. აი, ამიტომაც იყო, რომ გორკხები ნიადაგ ომისკენ ილტვოდნენ".

დიდი ბრიტანელები იმდენად აღტაცებულნი იყვნენ გორკხი მეომრებით, რომ დაიქირავეს კიდეც ისინი.

ინგლისის დედოფლის დაცვაში დღესაც შეგიძლიათ ნახოთ ნეპალელი, უფრო სწორად, გორკხი ჯარისკაცებისგან ჩამოყალიბებული პოლკი.

გორკხი იყო პრიტხვან ნარაიან შაჰი, რომელიც 1743 წელს გორკხების სამთავროს მბრძანებელი გახდა. 1769 წელს ნარაიანმა დაასრულა კატმანდუს ველის დაპყრობა, „თავისი" დედაქალაქი კატმანდუში გადაიტანა და გახდა შაჰთა დინასტიის დამაარსებელი. XVII საუკუნის ბოლოს ნარაიანმა ყველა ფეოდალური სამთავრო გააერთიანა და მათ მეფედ მოევლინა. ასე ჩაეყარა საფუძველი ნეპალის თანამედროვე სახელმწიფოებრივ საზღვრებს. მანამდე აქ იყო 60-მდე წვრილი და უწვრილესი სამთავრო, სადაც მრავალ ენაზე მოლაპარაკე ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობდნენ. მათ შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ნავარები, გერესნგები, მაგარები, გორკხები...

მაგრამ წარმოუდგენელია ნეპალელებზე წერო, იქაურ ეთნიკურ ჯგუფებზე ისაუბრო და არაფერი თქვა შერპებზე, მით უმეტეს მაშინ, თუ სიტყვა მთამსვლელობაზე ჩამოვარდება.

შერპები ძალზე მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლები არიან. ყოველ ათას ნეპალელზე მხოლოდ ორი შერპი მოდის, მაგრამ ამ ერთი მუჭა ხალხმა დიდად გაითქვა სახელი, როგორც მთამსვლელთა ჩინებულმა დამხმარეებმა, მათმა ურთგულესმა პარტნიორებმა და თავადაც ბრწყინვალე ალპინისტებმა.

ახლა, კითხვით რომ არ გადაგღალოთ, შერპებზე ეს ორიოდე სიტყვა ვიკმაროთ, დანარჩენი კი მერე იყოს, როცა შორეული ჰიმალაის მთებიდან ჩვენს მთამსვლელებზე ჩიტი ახალ ამბავს ჩამოგვიტანს. დღეს მთავარი ისაა, რომ ჩვენები თავს კარგად გრძნობენ და მათ სამაელები არ დაედევნებიან კეტებითა და ქვებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**ავტორის ფოტო**

# შინ მაინც მოვიგებთ

**დასაწყისი პირველ გვერდზე**



ბოტიჩევი გოგობერიშვილს ტყოცნას არ ანებებს

საერთოდაც, ეს წუთები ჯაფარიძე-გურტავოის დუელით გამოირჩა, რამიც ქართველმა უცილობლად დაჩაგრა მეტოქე. თავად განსაჯეთ: რუსთაველთა პირველი 12 ქულიდან 9 სწორედ ირაკლიზე მოდიოდა. მისი მეტოქეც ოთხ წუთში სამი პერსონალურით „დასაჩუქრდა" და შესაცვლელი შეიქნა. გურტავოის არც ბერუაშვილი ჩამორჩა და მალე მანაც ამდენივე პერსონალური მიიღო. ცხადია, ხმელიძემ ისიც შეცვალა და მოედანზე ზვიად ბაბიაშვილი გამოუშვა, რომელიც სადებიუტო მატჩს ატარებდა რუსთაველთა გუნდში. ჩვეულად ათამაშდა რამაზ გოგობერიშვილიც. 3-იანიც ჩააგდო, ხელსაყრელადაც არაერთხელ უპასა თანაგუნდელთ, რაც ანგარიშშიც აისახა. მოკლედ, პირველი ათი წუთი ჩვენი იყო. ამ ხნის მანძილზე ყველაზე მეტიც, 9 ქულით დავწინაურდით 18:9.

პირველი ტაიმის მეორე ათწუთეულმა ცხადყო, რომ მეტოქე არცთუ სახუმარო გვყავდა. უკრაინელები გონს მოეგნენ, ალბათ დაზვერვა მომთავრებულად ჩათვალეს და მთელი ძალით ამოქმედდნენ. კარგად ჩაერთო შეცვლაზე შემოსული შლეევი, მისი და ზავალინის მონდომების წყალობით მეშახტეებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება იწყეს. ეგ კი არა, სულ მალე წინაც გაიჭრნენ და კარგა ხანს არ მისცეს აზოტელებს ახლოს მიკარების საშუალება. ხმელიძემ საშიშროება უმალ იყნოსა და ზედიზედ ორჯერ უხმო შეგირდებს წუთშესვენებაზე, თუმცა ამას ჩვენთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. აშკარა გახდა, რომ დაცვას ძალიან უჭირდა, ვერ უმკლავდებოდა უკრაინელთა შეტევებს. კონტრშეტევაც არაერთხელ გაეპარათ. ეს უფრო ჩვენი მცველების შეუთამაშებლობის ბრალი იყო. მოწინაალმდეგეებმა კი გაილაღეს. ჟლენტის დონეცკელი კოლეგა, ტანმორჩილი ზავალინი წამდაუწუმ გვირღვევდა დაცვით ჯებირებს და სამიზნეც საბოლოოდ გაისწორა. უკ-



ანდრეი კაპინოვმა რუსთაველებს უხეშობა უსაყვედურა

რაინელ კოლეგათაგან ნაქებ-ნადიდები ოლეგ ტკაჩი კი შედარებით ჩრდილში მოექცა, რასაც ზაზა გაბისონიას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც „სათვალთვალო ობიექტს" მოსვენებას არ აძლევდა. ამასობაში კი კაპინოვმა აიწყვიტა. საშუალო დისტანციიდანაც ჩააგდო, გარედანაც გვბომბავდა და გუნდის ლიდერადაც მოგვევლინა. ...ანგარიში კი ჩვენთვის ავისმომასწავებლად იცვლებოდა. ერთი ხანობა 18 ქულასაც ვაგებდით. ეგ იყო, ტაიმის ბოლოს შედარებით გამოვცოცხლდით — 4t54.

მეორე ნახევარი ხმელიძისგან დამოძღვრილებმა უფრო აქტიურად დაიწყეს. ჯაფარიძემ და გოგობერიშვილმა რამდენჯერმე ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და შედეგიანადაც დაასრულეს. მაგრამ „შახტიორი" თამაშის იშტაზე გახლდათ და 10-ქულიანი დისტანცია „დაგვიჭირა", რომელსაც კარგა ხანს ვერაფერი მოვუხერხეთ. „აზოტმა" ტემპს უმატა და მთელ მოედანზე პრესინგიც მოსინჯა. არაფერი სახეირო. პასუხად დაცვის დაშლა მივიღეთ: ველარც უკან ვბრუნდებოდით დროულად და კრიტიკულ ვითარებებში მათი რიცხვობრივი უპირატესობა უფრო თვალშისაცემი გახდა. ამასობაში ბერუაშვილიც მოვისაკლისეთ — ბოტიჩევთან ორთაბრძოლისას მეხუთედ დაჯარიმდა. თითქოს უიმედო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მატჩის სადავეებიც მოწინააღმდეგეს ეპყრა. დროის ფაქტორიც მის წისქვილზე ასხამდა წყალს. დამთავრებამდე 3 წუთით ადრე იშჩუკის ზუსტი სროლის შემდეგ 87:78-ია სტუმართა სასარგებლოდ. აქ კი რუსთაველები, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო, ჩინებულად ათამაშდნენ. გოგობერიშვილმა დაცვაში მეტად საჭირო ბურთი აილო, რამდენიმე უკრაინელი ადვილად ჩამოიშორა და ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ ჯაფარიძეს მიანდო. არც ირაკლიმ უმტყუნა. ჩააგდო კიდეც და ჯარიმაც მიაყოლა 82:87. ისევ რამაზმა გამოიდო თავი. წინ გაჭრილს ჟლენტმაც დროულად მიაწოდა და 84:87. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გულშემატკივარს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაესახა. აი, ბოლო წუთი კი სულაც დაწვრილებით უნდა აღიწეროს: 0.55 — ჯაფარიძე მინიმუმამდე ამცირებს ანგარიშში სხვაობას 90:91. საპასუხო შეტევისას გერასიმოვი შეცდა, აზოტელებმა გარბენის გაკეთება აიძულეს. რჩება 42 წამი, ბურთი ჩვენია. ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ გოგობერიშვილი სასწაულებრივად, ნახევარბრუნით აგდებს და წინ გავდივართ 92:91. უკრაინელთა განკარგულებაში მხოლოდ 20 წამია, რომელიც ჩვენთვის საუკუნედ გადაიქცა. დროზდოვმა წუთშესვენება ითხოვა და შეგირდებს დავალებებიც მისცა. როგორც აღმოჩნდა, დროული და შედეგიანი.

და ბოლოს იყო ოლეგ ტკაჩის თავგამოდება, უკრაინელთა ნაკრების წევრმა მთელი მოედანი გადასერა, ბურთი ბოლომდე შეინარჩუნა და ჩვენი ფარისკენ გაფრინდა. ფრენა ფრენად და, გუნდს გამარჯვების მომტანი ორი ქულა შესძინა. სამ წამში ვერაფერი მოვახერხეთ. მსაჯის საფინალო სასტვენმა გაბისონიას მოედნის ცენტრთან მიუსწრო.

## მატჩის შემდეგ

ოთარ ხმელიძე, „აზოტის" მთავარი მწვრთნელი: ვფიქრობ, გამოუცდელობით დავმარცხდით, თუმცა მოგებაც შეიძლებოდა. „შახტიორი" დაუმარცხებელთა კატეგორიას ნამდვილად არ ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ სწორი, გამართული კალათბურთი შემოგვთავაზა. ერთიცაა: მათ ყველა კალათბურთელი ათამაშეს და შეცვლებმაც, რომ იტყვიან, გაუმართლათ. ჩვენ კი ამისთანა ფუფუნების საშუალება არა გვაქვს. ვერ ვიტყვი, ბიჭებმა ზედმიწევნით შეასრულეს ჩემი მითითებები-მეთქი, ჩვენს თამაშში უამრავი ხარვეზი იყო, რასაც საპასუხო შეხვედრამდე აუცილებლად აღმოვფხვრით. რალაც შანსები ჩვენც გაგვაჩნია და შევეცდებით, ბოლომდე გამოვიყენოთ. იქ ცხადია, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ისე, მონდომებას ვერავის დავუკარგავ. კალათბურთელებმა ყველაფერი გაიღეს, რაც შეეძლოთ. ამის დაუნახავობა ჩემი მხრიდან უმადურობა იქნებოდა. რაც გამოვიდა, თავადაც ნახეთ.

ვალერი დროზდოვი, „შახტიორის" მთავარი მწვრთნელი: თქვენს გუნდზე არაფერი ვიცოდი და თამაშის დასაწყისში გაგვიჭირდა, ტაიმის შუაში კი ვითარება გამოვასწორეთ და სოლიდურადაც დავწინაურდით. ქართველები კი მარცხს ვერ ეგუებიან და უპირატესობაც რამდენჯერმე წაგვართვეს. „აზოტი" კარგი გუნდია, თუმცა ეტყობა, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლია. ჩემი აზრით, დონეცკშიც არაფერს დაგვითმობენ. გამოვარჩევდი ბერუაშვილს, ჟლენტს, ჯაფარიძეს და გოგობერიშვილს. მათ დიდი სიამოვნებით მივიწვევდი ჩემს გუნდში. მაყურებელთა ასეთი მხარდაჭერა კი ბევრი გუნდისთვის სანატრელია. მატჩის შედეგი ლოგიკური იყო, ვფიქრობ, დონეცკში ორივე გუნდის შანსები თანაბარია და ბრძოლა უშელავათო იქნება.

ოლეგ ტკაჩი: სტუმრად გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, თანაც ისეთ დაძაბულ მატჩში, როცა მდგომარეობა რამდენჯერმე იცვლება. ამიტომაც გაგვახარა ასე მოგებამ. თქვენს კალათბურთზე ბევრი კი მსმენია, მაგრამ არასოდეს მეთამაშა ქართველების წინააღმდეგ. ახლა კი თავად დავრწმუნდი, რომ მართლაც ლამაზად და აგრესიულად თამაშობთ. განსაკუთრებით თქვენი მაყურებელი მომეწონა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შემდეგ ასეთი მხარდაჭერა თითქმის არსად მინახავს.

ანდრეი კაპინოვი: „აზოტი" კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდია, რამდენჯერმე შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, რაც არც ისე ადვილია. ეგაა, რუსთაველები დაცვაში საკმაოდ უხეშები არიან. დონეცკშიც მძიმე მატჩი გველის. თუმცა, ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ. ჩვენც არაერთხელ შევცდით, მაგრამ მთლიანობაში მატჩით კმაყოფილი ვარ.

**ზურაბ გონაშვილი**
**გიორგი ბიკაშვილი**



# ხიმენესი ძალიან თავხედდა

მე-10 ეტაპი. ვიკიდან ანდორამდე. 199,3 კილომეტრი

ანდორის ტრასებზე რბოლა ესპანელთათვის ტრადიციულად იღბლიანია და მასპინძლებიც ხშირ შემთხვევაში გამარჯვებას არავის უთმობენ, მაგრამ ამჯერადაც თუ დიდი უპირატესობა ექნებოდათ, ამას მაინც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

მე-10 ეტაპზე ესპანელებს, შეიძლება ითქვას, სტუმართმოყვარეობის გრძნობამ კარგა გვარიანად უღალატათ და მათ პირველი ხუთი ადგილიდან უცხო ქვეყნის წარმომადგენელთათვის მხოლოდ ერთი — მეოთხე გაიმეტეს. ისიც „მაპეის" შვეიცარიელმა ოსკარ კამენზინდმა თავისი ვაჟკაცობისა და მარიფათის შედეგად დაიბევა, თორემ გამარჯვებებს მონატრებული მასპინძლები ტყუილუბრალოდ ვის რას დაანებებდნენ.

საკმაოდ რთული და მომქანცველი დისტანციის დაფარვას სპორტსმენები მეტად მდორედ შეუდგნენ. მათი შემხედვარე კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ ველომრბოლები უახლოესი კონკურენტების მანევრირებაზე თვალყურის დევნებით უფრო იყვნენ დაკავებულნი და წინ გაჭრაზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელი რბოლის მანძილზე. თუ რომელიმე „თავხედი" ტრასის გარკვეულ ეტაპზე დაწინაურებას გაბედავდა, პელეტონი მაშინვე საჭირო სიჩქარეებს ჩართავდა და წინ წასულთა დაწევასაც ადვილად ახერხებდა.

გადამწყვეტი მომენტი ფინიშის ხაზამდე სამი კილომეტრით ადრე დადგა. ბენესტოელი ხოსე მარია ხიმენესი ერთად შეკრებილთ გამოეყო და თავგამოდებული სპურტით გაქცევა სცადა. საკვირველია, მაგრამ მისი ამგვარი ქმედება იმდენად მოულოდნელი გამოდგა დანარჩენთათვის, რომ მათ საპასუხო შეტევის განხორციელებას თავი ვეღარ მოაბეს და ესპანელს მოგება თითქმის უბრძოლველად გადააბარეს.

მეორე ადგილზე ასევე „ბენესტოს" წევრი, ესპანელი ფერნანდო ესკარტინი გავიდა, რომელმაც თანამემამულე ხიმენესთან 16 წამი წააგო. მესამე 1,26-წუთიანი ჩამორჩენით რობერტო ერასი იყო.

ხიმენესმა ბოლო ხუთ დღეში მეორე ეტაპი კი მოიგო, მაგრამ საერთო ჩათვლაში გასალიდერებლად ეს საკმარისი სულაც არ აღმოჩნდა. ყვითელი მაისურით რბოლის უფლება აქამდეც პირველ ადგილზე მყოფმა აბრაჰამ ოლანომ შეინარჩუნა, ვინც ამ ეტაპზე გამარჯვებულს 1 წუთითა და 31 წამით ჩამორჩა და რბოლა პელეტონთან ერთად დაასრულა.

ისე, უნდა ითქვას, რომ მასპინძლეთათვის დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ლიდერი ოლანო იქნება თუ ხიმენესი. მათთვის მთავარია, „ვუელტა" ესპანელმა მოიგოს და სანუკვარი პრიზი 1991 წლიდან მოყოლებული შვიდწლიანი განშორების შემდეგ კვლავ პირინეის ნახევარკუნძულზე დარჩეს.

**1. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) 5 სთ 22 წთ 39 წმ; 2. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +16; 3. რობერტო ერასი (ესპანეთი) +1,26**

საერთო ჩათვლა:

**1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 42 სთ 46 წთ 59 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +41; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +1,10; 4. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +1,36; 5. ალვარო გალდანო (ესპანეთი) +2,06**

**ბახა არჩევანიძე**



# მაია ისევ მაიაა

**შემოდგომა დადგა და სასიამოვნო არდადეგების შემდეგ მსოფლიოს ინტელექტუალური ძალები კვლავ სრული სიმძლავრით ამუშავდნენ. გამონაკლისი არც საჭადრაკო სამყაროა**

ციცქნა მონაკოში ბებერი მოჭადრაკე ხარები შეკრებილან, მაგრამ რა ხარები! ჩამოვთვლით გვარებს უკომენტაროდ: სპასკი, სმისლოვი, კორჩნოი, ტაიმანოვი, პორტიში, ჰორტი. მათ აქ თავი მოუყარა უკვე ტრადიციად ქვეცულმა რიგით მე-7 საერთაშორისო ტურნირმა „ვეტერანები ქალბატონების წინააღმდეგ". რჩეულ ქალბატონთა შორის დღესდღეობით გამორჩეულნი მონაკოში ვერ ვიხილეთ. ქალბატონთა ნაკრებში არ თამაშობს პოლგარების კლანის არც ერთი წევრი და არც ფიდესთან წაკინკლავებული გალიამოვა. მიუხედავად ამისა, 3 ქართველის (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია), 2 ჩინელისა (სიუ ჟუნი, ჯუ ჩენი) და შვედისგან (კრიმლინგი) შემდგარი მანდილოსანთა კომპანია მაინც ფრიად მრისხანე ძალად მიიჩნევა. მონაკოში მატჩ-ტურნირი მიმდინარეობს, ანუ ქულები აღირიცხება როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში.

მცირე სტატისტიკა: წინა 6 ტურნირის შედეგებით საერთო ჯამში ვეტერანები წინ არიან 183,5:182,5, თუმცა ანგარიში ტურნირების დიდ სიმძაფრეზე მიუთითებს და წლეულსაც მხარეები ქულა ქულაში მისდევენ ერთმანეთს. მატჩის ეკვატორი უკვე გადალახულია და ახლახან მოჭადრაკეებმა მე-7 ტურიც გაითამაშეს (სულ დაგეგმილია 12). სამწუხაროდ, დროებითი წერტილი დაესვა მაია ჩიბურდანიძის ტრიუმფალურ მსვლელობას. აქამდე პორტიშის, ჰორტის, სმისლოვისა და ტაიმანოვის შემმუსვრელი მაია ჰორტთან განმეორებით შეხვედრაში 38-ე სვლაზე შეცდა და დამარცხდა. ნათამაშევი პარტიებიდან ჩიბურდანიძემ მხოლოდ ერთი დაასრულა ყაიმით. როგორც აღნიშნავენ, იგი ძალიან აგრესიულად თამაშობს, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ მას „მეორე სუნთქვა" გაეხსნა და ძველებურად უმაღლეს მიღწევებს უმიზნებს. შედარებით სუსტად თამაშობენ იოსელიანი და არახამია. ეს უკანასკნელი VII ტურში 77 წლის ვეტერანმა მოჭადრაკემ და მომღერალმა ვასილი სმისლოვმა დაამარცხა. დანარჩენი 4 პარტია ყაიმით დასრულდა და ამგვარად ტური ვეტერანებმა მოიგეს — 4:2.

ამის წყალობით ისინი საერთო ანგარიშშიც დაწინაურდნენ — 22:20. პირად ჩათვლაში კორჩნოი ლიდერობს, 5,5 ქულით. „დიდ ვიქტორს" კვალში სამნი უდგანან. 4,5 ქულა აქვთ ჩიბურდანიძეს, სპასკის და ჰორტს. იოსელიანმა 3 ქულა მოაგროვა, არახამიამ — მხოლოდ 2 და იგი ბოლოსწინა ადგილზეა.

**დავით გულუა**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
**ზურაბ ფოცხვერია**
**დირექტორი**
**გიორგი ოქრომჭედლიძე**
**რედაქტორი**
**თამაზ მიგრიაული**
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
**ილია ბაბუნაშვილი**
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
**ვახტანგ ბზიკაძე**
**ტექნიკური რედაქტორი**
**გურამ ხელაშვილი**
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
**ავთანდილ გურასაშვილი**
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
**სოსო კოტორეიშვილი**
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29